№15(16) 12.04.1991

# სპორტიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომერში:

ეროვნული ჩემპიონატები
ფეხბურთი, ხელბურთი, რაგბი
მე-2, მე-3 გვერდები

მარკ სპიცი
შერეკილი თუ... ჯადოქარი
მე-4 გვერდი

ჩვეულებრივი კაცი



ინტერვიუ ალექსანდრე ჩივაძესთან
მე-5 გვერდი

1991 წლის 9 აპრილი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ჭიიღო ისტორიული გადაწყვეტილება: გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა! ამ მოვლენის კვალდაკვალ საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა გადაწყვიტა მთლიანად გამოეყოს საკავშირო სტრუქტურებს და დამოუკიდებლად წარმართოს სპორტის განვითარება.

# გილოცავთ!

ეს ფოტო ლელას თბილისში გადავუღეთ, როცა იგი ახალი სპორტული სეზონისთვის ემზადებოდა. უშუალოდ ტურნირებზე მისი თამაშის ხილვის შესაძლებლობას კი, განსგები მიზეზების გამო, მოკლებულნი ვართ.

ზემად კარაბაძის ფოტო

## ექვსი საფეხურით მაღლა

ამერიკაში „ვირჯინია სლიმზის" მორიგი ტურნირის დამთავრების შემდეგ ლელა მესხი ერთბაშად დაუახლოვდა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულს — მეჩვიდმეტე ადგილიდან მეთვრამეტეზე გადაინაცვლა.

ამისათვის იგი „იძულებული შეიქმნა" სენსაციის „ავტორი" გამხდარიყო — დაემარცხებინა ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი ჯენიფერ კაპრიატი და სახელგანთქმული მარტინა ნავრატილოვა (სხვა მეტოქეებზე, თუნდაც ნატალია ზვერევაზე, აღარაფერს ვამბობთ). თვითონ ლელა საუკეთესოდ მიიჩნევს კაპრიატისთან ჩატარებულ მატჩს (3:6, 6:3, 6:3). „თანაშემდევრული, ნაკლებეფექტური თამაშითა და ეშმაკური კომბინაციებით, რომლებშიც ერთმანეთს ერწყმოდა გრძელი და მოკლე დარტყმები, მესხმა დაამარცხა კაპრიატი" — წერდა „ნიუ-იორკ ტაიმსი". მარტინა ნავრატილოვა, მისივე თქმით, ისეთი განწყობით გავიდა მესხთან სათამაშოდ, თითქოს იმ წუთს ამდგარიყოს საწოლიდან, მაგრამ ამგვარი თავდაჯერება მას ძვირად დაუჯდა. „ნავრატილოვა გამარჯვებას ელოდა, მაგრამ თითქოს მეხი დაეცა. — 6 აპრილს ისე სწრაფად დამთავრდა ყველაფერი, მას დრო ცვლილებისთვისაც კი არ ეყო". — ამბობს ამ პოპულარული გაზეთის მიმომხილველი. ქართველმა ჩოგბურთელმა შეხვედრის შემდეგ (6:4, 2:6, 6:4) განაცხადა: „ნავრატილოვასთან სათამაშოდ საგანგებოდ ვემზადებოდი და გეგმებს ვაწყობდი, რაც კინალამ უძილო ღამედ დამიჯდა. შეხვედრის დასაწყისში ვნერვიულობდი და შეცდომებიც მომივიდა, მაგრამ მერე ყველაფერი კალაპოტში ჩადგა".

შემდეგ ლელა მესხმა ზვერევას მოუგო (6:3, 3:6, 6:4) და ფინალში შეხვდა გაბრიელა საბატინის... ადრე გაზეთ „სარბიელისთვის" მოცემულ ინტერვიუში ლელამ გვითხრა: საბატინის რომ მოუგო, ძალიან სწრაფი თამაში უნდა მოახვიო თავსო. მაგრამ ამდენი დაძაბული მატჩის შემდეგ ლელა მესხი, ცხადია, დაღლილი იყო და კორტზე ასეთი სისწრაფით მოქმედება ვეღარ შეძლო. მეტოქეს დიდი წინაალმდეგობა ვეღარ გაუწია — 1:6, 1:6. ერთი დეტალიც: ფინალის დღეს სპორტული ნაწარმის ფირმამ, რომელთანაც ლელას კონტრაქტი აქვს დადებული, ახალი მოდელის მაღალყელიანი ფეხსაცმელი შესთავაზა მას. კონტრაქტი კონტრაქტია და იგი უნდა შეასრულო, მაგრამ ქართველ ჩოგბურთელს ახალმა ფეხსაცმელმა ფეხები გადაუყვლიფა და დაუსისხლიანა, რის გამოც ძალიან გაუჭირდა კორტზე მოძრაობა.

მსოფლიოს მე-11 ჩოგანი აგრძელებს ამერიკაში ასპარეზობას.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

1991 წლის 19 აპრილს მოწვეულია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის კონფერენცია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებს, მათ შორის რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორებს ვთხოვთ კონფერენციაზე მოავლინონ ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე მომუშავე რედაქციის შტატის თანამშრომლები.

კონფერენცია ჩატარდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" საკონფერენციო დარბაზში. დასაწყისი 15 საათზე.

ორგანიზაციო კომიტეტი.

## კოკაინის სკანდალი

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით სახელგანთქმულ დიეგო მარადონას 15 თვით აეკრძალა თამაში ყველა რანგის შეჯიბრებაში. დისკვალიფიკაციის ვადა გასტანს 1992 წლის 30 ივნისამდე. თუ ფიფა-მ დაადასტურა ეს სანქცია, მაშინ მარადონა ამ ხნის განმავლობაში თვით თავის ქვეყანაშიც კი ვერ ითამაშებს ფეხბურთს.

„როცა მარადონა თამაშობს, სტადიონიც თამაშობს მასთან ერთად. როცა მას უხარია, ყველა ხარობს. როცა ის იტანჯება, ყველა იტანჯება. როცა ის სასოწარკვეთილი ცისკენ აღაპყრობს ხელებს, ამ ჟესტს ათიათასობით მაყურებელიც იმეორებს. მისი პორტრეტები ანთებული სანთლებით ხატების გვერდით „უსვენიათ". იგი იქცა კერპად, მბრძანებლად. მან დაიპყრო ნეაპოლი და ამ ქალაქის მკვიდრთა გულები"

ეს სტრიქონები ხუთი წლის წინანდელი იტალიური გაზეთებიდან არის ამოწერილი. დღეს ბევრი რამ შეიცვალა. დიეგო მარადონამ, წარსულში მთელი ნეაპოლის კერპმა, ერთი ხელის მოსმით წყალს გაატანა ყველაფერი, რასაც წლების მანძილზე აგროვებდა. მეტიც, იტალიის გაზეთ „ლა რესპუბლიკის" მიერ ჩატარებული გამოკითხვით, იგი აღიარებულია იტალიელებისთვის „ყველაზე საძულველ" ადამიანად. სხვათა შორის, ამ რეფერენდუმში მან თვით... სადამ ჰუსეინსაც კი გაუსწრო.

სიძულვილმა თავი იჩინა „მონდიალე-90"-ის დროს, როცა მარადონამ და მისმა „თანამზრახველებმა" არგენტინის ნაკრებიდან დაასამარეს „სკუადრა აძურას" იმედები მსოფლიო ჩემპიონობის მეოთხედ მოპოვებისა. ეს სიძულვილი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, თითქოს მარადონამ, რომელმაც უარი თქვა თავისი ქვეყნის ნაკრებში თამაშზე, „ნაპოლისაგან" მალულად (ეს გუნდი მას წელიწადში სამ მილიონს უხდიდა) მოლაპარაკება გააბა ხან „მარსელთან", ხან იაპონელებთან და აი, გაღმერთების მაგიერ კერპს ნეაპოლელთა წყევლა-კრულვა დაატყდა თავს.

მოულოდნელად „ჰირვეულ ვარსკვლავთან" დაკავშირებით ატეხილმა სკანდალმა სრულიად სხვა მიმართულება შეიძინა. ამჯერად „ბომბი" ისროლა ნეაპოლის იუსტიციამ, რომელმაც კამორასთან დაკავშირებით ნარკობიზნესის ჯგუფი აღმოაჩინა. გამოძიების პროცესში მარადონას სახელიც ამოტივტივდა. „კოკაინის ისტორია" კიდევ უფრო დაიძაბა ვინმე კრისტიანა სინაგრას განცხადების შემდეგ, რომელიც ამტკიცებდა, რომ მისი ოთხი წლის დიეგო სახელგანთქმული ფეხბურთელის შვილია, რომ მარადონასთვის მეძავებთან ურთიერთობა და ნარკოტიკები „ჩვეულებრივი ამბავია".

დიეგო დიდხანს დუმდა და გაურბოდა ჟურნალისტებთან შეხვედრას, რომლებსაც მისი მისამართით უამრავი კითხვა დაუგროვდათ. ბოლოს და ბოლოს იგი მაინც ალაპარაკდა: „ჩემი საქმე მთლიანად შეთითხნილია. უნდათ შური იძიონ იმის გამო, რომ „ნაპოლში" ი.ამაშს აღარ ვაპირებ. მე თავისუფლება და არჩევნის უფლება მწადია".

ამ განცხადების შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობამ სარჩელი შეიტანა ნეაპოლის სასამართლოში და მარადონას 6,5 მილიონი დოლარის კომპენსაცია მოსთხოვა. არგენტინელი დათანხმდა, ოღონდ კი პროკურატორში მისვლა აღარ დასჭირვებოდა.

(დასასრული 3-7 გვ.)

# „ქუთაისს“ შანსი ეძლევა

საფეხბურთო კლუბ „ქუთაისს“ დებულების დარღვევისათვის (სამი მინდვრის ფეხბურთელის შეცვლა) ორ მატჩში წაგება ჩაეთვალა. ქუთაისელებმა ფეხბურთის ფედერაციის ეს გადაწყვეტილება გააპროტესტეს, რამაც შედეგი გამოიღო. სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით ორი შეხვედრა ხელახლა გაიმართება. ამ ფაქტის გამო ვესაუბრეთ სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ანტონ ონიანს.

**— ბატონო ანტონ, რა მოსაზრებით მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება?**

— ქუთაისის გუნდი დამნაშავეა. მათ თავიანთი უფლებები უნდა სცოდნოდათ, მით უმეტეს, რომ კლუბის პრეზიდენტი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრია და დებულების შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა. მეორეს მხრივ ისიც აშკარაა, რომ საქმე გვაქვს უპასუხისმგებლობასთან და არა წესის განზრახ დარღვევასთან. ახლა მეტოქეთა საქციელიც განვიხილოთ. „სულორს“ და „ამირანს“ თამაში არ გაუპროტესტებიათ, ანუ დებულების დარღვევა, ისევ და ისევ დაუკვირვებლობის გამო, მათაც დამალეს. ასე რომ, ჩვენის აზრით, მათ სამ-სამი ქულა დაუმსახურებლად მიიღეს. არც თავად დებულებაში ჩანს მკაფიოდ ასეთი დარღვევის შემთხვევაში გუნდი როგორ უნდა დაისაჯოს. გავითვალისწინეთ რა ყოველივე ეს, ჩავთვალეთ, რომ დავა ისევ მინდორზე უნდა გადაწყდეს.

**— ასეთი გადაწყვეტილებით ფეხბურთის ფედერაციას ხომ არ დაუპირისპირდით?**

— ჩვენ ჩვენი მოსაზრება გვაქვს. სხვათა შორის შესაძლოა ქუთაისელებს ჩაეშალათ მატჩები „იბერიასთან“ (რომელიც მაღლობა ღმერთს შედგა) და „გურიასთან“. ვფიქრობ მდგომარეობა განვმუხტეთ. მხედველობაშია მისაღები ქუთაისის საფეხბურთო ტრადიციებიც. ფედერაციაშიც ვალდებულნი იყვნენ პირველივე თამაშის შემდეგ შეენიშნათ დარღვევა. ასე რომ, არა მგონია რაიმე დაპირისპირება არსებობდეს.

**— თქვენ ბოლო ინსტანცია ხართ?**

— დიახ. პირადად მე ვფიქრობ, რომ ბოლო ინსტანცია მაინც ფედერაციის პრეზიდიუმი უნდა იყოს, მაგრამ დებულების მიხედვით სააპელაციო ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა.

ილია ბაბუნაშვილი

# ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული

„გორდასა“ და „ალაზნის“ შეხვედრაში, გურჯაანელთა დაცვა, შარშანდელი სეზონის საუკეთესო ბომბარდირს მამუკა ფანცულაიას განსაკუთრებული ყურადღებით მეურვეობდა. რუსთაველთა ათმა ნომერმა მაინც გაიტანა გოლი.



**— კიდევ ერთი ლამაზი გოლი.**

— მე ყოველთვის ვცდილობ ჩემს მიერ გატანილი ბურთი უბრალოდ გოლი კი არა, ლამაზი გოლი იყოს. მიყვარს შორიდან დარტყმა. ხშირად ვარჯიშის შემდეგ მეკარეებთან ერთად ვრჩები და ვფანტაზიორობთ, ვიგონებთ ახალ დარტყმებს.

**— „გორდასათვის“ ჩემპიონატის სტარტი ცუდი გამოდგა. რა არის ამის მიზეზი?**

— საჭიროა კიდევ უფრო სერიოზული მიდგომა საქმისადმი. ეს ეხება ვარჯიშსაც და თამაშსაც. კალენდარიც ცუდი გვერგო. თავიდანვე მოგვიწია ფავორიტებთან ზედიზედ შეხვედრა.

**— დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, „გორდას“ რისი შანსი აქვს?**

— სამეულში მოხვედრის შანსი გვაქვს. მესამე ადგილზე შარშანაც ვიყავით, ჩვენ კი გვინდა უფრო ზევით ავიწიოთ.

**— გია გურული საქართველოს ჩემპიონატში ალარ გამოდის. ვინ იქნება ბომბარდირობის პრეტენდენტი?**

— წელს უფრო დიდი კონკურენცია იქნება, თუმცა ჯერ გვარების დასახელება არ ღირს. ამაზე ჩემპიონატის შუაში უფრო უპრიანი იქნება საუბარი.

**— ამბობენ, ფანცულაიას „იბერიაში“ იწვევდნენო, მართალია?**

— არ არის მართალი. მე „გორდას“ ფეხბურთელი ვარ და მიუხედავად იმისა, რომ ვარჯიშებზე თბილისიდან დავდივარ, სულ არ მიჭირს. ჩემის აზრით ჩვენი გუნდი „იბერიას“ არ ჩამოუვარდება.

**— უცხოეთში ხომ არ მოუწვევიხართ?**

— იყო მოწვევა პოლონეთიდან, მაგრამ უარი ვუთხარი.

**— განა შემოსავალი იქ მეტი არ გექნებოდა?**

— შემოსავალი მართლაც მეტი მექნებოდა, მაგრამ მე საქართველოს ჩემპიონატში მინდა თამაში.

**— როგორ აფასებ საკუთარ თამაშს, როგორც ფეხბურთელმა მიაღწიე მწვერვალს?**

— პრობლემით დავიწყოთ. ჩემი ყველაზე დიდი პრობლემაა ზედმეტი წონა. რაც შეეხება მწვერვალს, მწვერვალამდე ჯერ შორს არის. აშკარად ვგრძნობ, რომ გაცილებით უკეთ შემიძლია თამაში და ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

ესაუბრა
ილია ბაბუნაშვილი.

# სანქციები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ ტექნიკურმა კომისიამ იმსჯელა თბილისის „შევარდენის“ სტადიონზე „შევარდენი-1906“ და ზუგდიდის „ოდიშს“ შორის გამართული შეხვედრის შემდეგ მომხდარი ინციდენტის შესახებ.

„შევარდენის“ სტადიონი: მიეცა ერთი თამაშით დისკვალიფიკაცია. კლუბი: დაჯარიმდა 10000 მანეთით.

„შევარდენის“ ფეხბურთელები: თამაზ სამხარაძე დისკვალიფიცირებულია 5 თამაშით და დაჯარიმებულია 1000 მანეთით.

ზაზა ბაკურაძე — 2 თამაშით და 300 მანეთით.

გიორგი ელიავშვილი — 1 თამაშით და 100 მანეთით.

გივი ქობელაშვილი და გია მენთეშაშვილი მკაცრად გააფრთხილეს. გუნდში აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტებისათვის საყვედური გამოეცხადათ გუნდის უფროსს უშანგი შევარდნაძეს და გუნდის მთავარ მწვრთნელს ელგუჯა ხუციშვილს.



## ეროვნული ჩემპიონატი

V ტური

გორდა — ალაზანი 4:0
ქუთაისი — გურია 3:0
ოდიში — ამირანი 4:0
ბათუმი — მარგვეთი 4:0
დილა — იბერია 3:1
კოლხეთი — სამგურალი 2:0
ცხუმი — სულორი 2:2
კოლხეთი-13 — იბერია 1:2
სანავარდო — მზიური 1:0
მერცხალი — შევარდენი-06 1:0

### გათამაშების ცხრილი

| | | თ. | გ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ოდიში (ზუგდიდი) | 5 | 4 | 0 | 1 | 12:1 | 12 |
| 2. | იბერია (თბილისი) | 5 | 3 | 2 | 0 | 12:4 | 11 |
| 3. | ცხუმი (სოხუმი) | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 11 |
| 4. | ბათუმი (ბათუმი) | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| 5. | კოლხეთი-13 (ფოთი) | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| 6. | გურია (ლანჩხუთი) | 5 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 10 |
| 7. | დილა (გორი) | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| 8. | გორდა (რუსთავი) | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | 7 |
| 9. | კოლხეთი (ხობი) | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 7 |
| 10. | მერცხალი (ოზურგეთი) | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| 11. | სანავარდო (სამტრედია) | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | 7 |
| 12. | სამგურალი (წყალტუბო) | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| 13. | ქუთაისი (ქუთაისი) | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| 14. | ალაზანი (გურჯაანი) | 5 | 2 | 0 | 3 | 5:10 | 6 |
| 15. | მზიური (გალი) | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |
| 16. | შევარდენი-06 (თბილისი) | 5 | 1 | 0 | 4 | 6:8 | 3 |
| 17. | მარგვეთი (ზესტაფონი) | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | 3 |
| 18. | ივერია (ბაშური) | 5 | 1 | 0 | 4 | 2:12 | 3 |
| 19. | სულორი (ვანი) | 4 | 0 | 3 | 1 | 4:6 | 3 |
| 20. | ამირანი (ოჩამჩირე) | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |



# ხელბურთელებმა რა დააშავეს?

თბილისსა და ქუთაისში გაიმართა ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩები. თავდაპირველად 12 გუნდზე გათვლილი კალენდარი ბათუმელ და სამტრედიელ ხელბურთელთა გამოუცხადებლობის გამო ერთთავად აირია, რის შედეგადაც გუნდებს სხვადასხვა რაოდენობის მატჩების ჩატარება მოუხდათ. ბათუმელთაგან და სამტრედიელთაგან პირველობის გაუმართლებელი უგულებელყოფა მით უფრო საკვირველია, რომ ჩემპიონატამდე სამიოდე თვით ადრე მათ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში იასპარეზეს, სადაც სულაც არ ყოფილან მაჩანჩალების როლში — აჭარის გუნდი მეოთხე იყო, სამტრედიელებმა კი მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. ერთი სიტყვით, ამ რეგიონებში ხელბურთელები ჰყავთ და საკმაო ძალისაც, მაგრამ...

თბილისის ტურის მატჩები, ვერ ვიტყვით, რომ საიდუმლოდ, მაგრამ ჩუმად კი ჩატარდა. ნამდვილად მისანი უნდა ყოფილიყო გულშემატკივარი რომ გამოეცნო, თუ სად და როდის თამაშობდნენ გუნდები: არც ერთი განცხადება პრესაში ან ტელევიზიაში, არც ერთი აფიშა. „ქარიშხალას“ სპორტკომპლექსის შესასვლელშიც არაფერი მიგვანიშნებდა, თუკი იქ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩები იმართებოდა. არადა, თუნდაც ასიოდე მაყურებელი, გააცოცხლებდა მიჩუმებულ დარბაზს. მეტადრე, რომ იქვე, „ყურის“ ძირშია ფიზკულტურის ინსტიტუტი, არც ტექნიკური უნივესიტეტია ცხრა მთას იქით. ამ უმაღლესი სასწავლებლების გუნდები კი ძლიერად თამაშობენ და ჩემპიონობის შანსიც აქვთ.

აფიშების უქონლობამ, ეტყობა, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ხელბურთელებიც დაბნია — მათ ვერ გაიგეს თელაველებთან მატჩის დაწყების დრო და ერთი საათის დაგვიანებით გამოვიდნენ მოედანზე. თანაც, მხოლოდ ექვსნი იყვნენ და, რა გასაკვირია, რომ დიდი ანგარიშით დამარცხდნენ.

ბოლო დღეს მონაწილენი მსაჯებმაც დააღალატეს — თამაშზე არ გამოცხადდნენ, რის გამოც თელავისა და „მართვე-2“-ის შეხვედრა რომ არ ჩაშლილიყო, ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელმა იმსაჯა.

ეს დარღვევები მით უფრო სავალალოა, რომ ხდება ახალგაზრდა ხელბურთელების თვალწინ, რომლებიც ახლა იწყებენ სპორტულ ცხოვრებას. მათ რაღა დააშავეს, რომ ასეთ უმსგავსო მაგალითებს ხედავენ.

არადა, უდავოდ სასიკეთო საქმეს შეეჭიდა ხელბურთის რესპუბლიკური ფედერაცია, როცა განიზრახა ჩემპიონატის ჩატარება მაღალ ორგანიზაციულ-მატერიალურ დონეზე. სოლიდური პრიზებიც დაწესდა, მაგრამ მხოლოდ ფედერაციის, ანდა რამდენიმე მართლაც გულით მოწადინებული სპეციალისტის მცდელობა ვერაფერს მოგვცემს, თუ ყველამ არ გამოიღო ხელი, კარგი განზრახვა ძირშივე არ ჩაიშალოს და მერე და მერე სანანებლად არ გაგვიხდეს.

გამოსავალი ჩვენივე მოსაძებნია და აკი ზოგან მოძებნეს კიდეც. ფოთისა და თელავის გუნდები მყავს მხედველობაში. იქ სერიოზულად მოეკიდნენ საქმეს, კლუბები შექმნეს, სპონსორებიც გამონახეს და სპორტსმენებთან პროფესიული დამოკიდებულება დაამყარეს. მოთამაშეებმაც მოინდომეს და აკი იქაურ თამაშებზე აფიშებიც მზადდება, მაყურებელიც მრავლად ესწრება და ტურის ბოლოს პრიზებსაც საკმაოდ არიგებენ.

ვფიქრობ, თბილისის გუნდებსაც ძალიან არ უნდა გაუჭირდეთ თუნდაც თითო „ჯანიანი“ თანამდგომის გამოძებნა. მაგალითად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი გამოდგება. სტუდენტების შეფობა ითავა მშენებლობის სამინისტროს სპეციალური ტრესტის მობილურმა სამმართველომ (უფროსი თემურ გვამბერიძე), მხარში ამოუდგა გუნდს, ფინანსური საკითხების შოგვარებაშიც დაეხმარა და შედეგად, ბიჭების პასუხისმგებლობამაც ერთი-ორად მოიმატა. ეს ყველაფერი თამაშის ხარისხსაც დაეტყო — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს სადღეისოდ ექვსი თამაშიდან ხუთი მოგებული აქვს და ლიდერთა შორის იმყოფება.

თბილისის ტური უდანაკარგოდ განვლეს ტექნიკური უნივერსიტეტისა და თელავის გუნდებმა — ოთხივე მატჩში გაიმარჯვეს. განსაკუთრებით დაძაბული და საინტერესო გამოდგა ფოთის „ოქროს ვერძისა“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი მატჩი. სტუდენტები თითქმის მთელი შეხვედრის მანძილზე წინ იყვნენ ანგარიშში. ერთხელ სხვაობამ ოთხ ბურთსაც მიაღწია. მაგრამ დარჩენილ დროში უფრო მონაპოვრის შენარჩუნებაზე დაიწყეს ზრუნვა და ინიციატივა მეტოქეს გადააბარეს. ფოთელებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, ბოლო ბოლო წუთზე კი დაწინაურებაც მოახერხეს. თუმცა ბოლოს სტუდენტებმა მაინც შეძლეს ქულის გადარჩენა — 27:27.

განმეორებით შეხვედრაში „ოქროს ვერძმა“ იმარჯვა — 34:28

ბია ახალაძე

### სატურნირო მდგომარეობა

| | თამაში | ქულა |
|---|---|---|
| 1.სტუ | 8 | 22 |
| 2.„ოქროს ვერძი“ | 8 | 19 |
| 3.თელავი | 8 | 18 |
| 4.სსი | 6 | 15 |
| 5.ვეტერანები | 6 | 12 |
| 6.ფიზკულტ.ინსტ | 6 | 10 |
| 7.ზოოვეტ.ინსტ. | 10 | 9 |
| 8.„მართვე-1“ | 7 | 6 |
| 9.„ქუთაისი“ | 5 | 0 |
| 10.„მართვე-2“ | 10 | 0 |



## ᲒᲐᲚᲔ ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘᲡᲐ ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲔᲑᲝᲓᲐ

მიცვალებულთა გახსენების დღემ თითქოს მეტი სიმწვავით გვაგრძნობინა მრავალი მოუშუშებელი იარა. ჩვენ გვტკივა ყველა ჩვენი უდროოდ გარდაცვლილი თანამემამულე, დაღუპული 9 აპრილის ტრაგიკულ ღამეს, დაღუპული საშაჩაბლოში, თუ მძიმე დღევანდელობის სხვა მსხვერპლი.

ბადრი ჭურცაკიძეს ერთ თვეში 30 წელი შეუსრულდებოდა. იგი წყალბურთელი იყო, თანაც პერსპექტიული და სერიოზული ტრავმა რომ არა, ალბათ მრავალი ათასი გულშემატკივარიც ისეთივე მწუხარებით განიცდიდა მის დაღუპვას, როგორც მისმა ახლობლებმა იგლოვეს და გლოვობენ ახლაც. სპორტს კი გამოემშვიდობა, მაგრამ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, ჯან-ღონით სავსეს, მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა. რარიგ სჭირდება ახლა საქართველოს ასეთი ვაჟკაცები. მაგრამ უბედურმა შემთხვევამ — ავტოავარიამ ტრაგიკულად შეწყვიტა კიდევ ერთი ქართველის სიცოცხლე, სასო წარუკვეთა მის ახლობლებს.

### რაგბი

# რაგბი კი არა... პინგ-პონგი!

ძნელ დროს იწყება საქართველოს XXIV ჩემპიონატი: აქეთ ქვეყნის ეკონომიკური ბლოკადა, იქით ჩვენს წინააღმდეგ გაჩაღებული ინფორმაციული თუ ნამდვილი ომები. ამას კიდევ ფასების ლამისაა ხუთი-ათმაგი ზრდა დაერთოს.

ყველაფრის მიუხედავად, სპორტული ცხოვრება მაინც გრძელდება. მორაგბეებიც ახალ საშინაო სეზონს იწყებენ. იწყებენ ისე, როგორც არასდროს: ძველის ნგრევისა და ახლის შენების დროს, სახელად გარდამავალი პერიოდი რომ ჰქვია.

ვისაც რა უნდა, ისა თქვას, აი, სარაგბო საზოგადოებრიობისათვის კი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გაუგებარია სპორტის დეპარტამენტად მონათლული სპორტსახკომის დანიშნულება თუ რაგბთან მისი მიმართება. საკითხავი ისაა, ამიერიდან ვინ იქნება ქართული რაგბის ბედის განმგებელი: რაგბის კავშირი თუ სპორტის დეპარტამენტის რომელიმე ქვედანაყოფი? სად იშოვის რაგბის კავშირი ფულად სახსრებს? ანდა რაგბის კავშირს რაიმე სხვა სპორტის, უპირველეს ყოვლისა კი — ფეხბურთის ძლევამოსილ ფედერაციასთან შეხლა-შემოხლა რომ მოუხდეს, იკისრებს კი სპორტის დეპარტამენტი მსაჯულის თუ არა, თუნდაც მომრიგებლის როლს?

ზემოთ გაბუქულ-გაზვიადებული არაფერია. აქსიომაა, რომ შეჯიბრების გამართვას სტადიონები ესაჭიროება. წინათ, როცა ნამდვილი პატრონი არაფერს ჰყავდა და ყველაფერი ყველას ეკუთვნოდა, რაგბს ასე თუ ისე გაჰქონდა თავი. შარშან ეროვნული ჩემპიონატის თამაშები თბილისს სამ სტადიონზე — ვაკის, ვარკეთილისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისაზე მიმდინარეობდა. წელს ვითარება გაუარესდა: ვაკის მართლაცდა დიდებული სტადიონის ჭირა გახუთმაგდა, ვარკეთილის სტადიონს კი ფეხბურთელები დაუბრუნდნენ. ერთი სიტყვით, დედაქალაქის რვა ღატაკ გუნდს — „აკადემიას“, „ყოჩებს“, „ზოოვეტს“, „ივერიას“, „თბილისს“, ფიზკულტურის ინსტიტუტს, „უნივერსიტეტსა“ და „მეორე აკადემიას“ გარანტირებულ სარბიელად ერთი სტადიონიღა დარჩათ, სიქველით ცნობილ კლუბს — „შევარდენს“ რომ ეკუთვნის.

ცხადია, ერთი ბაზა ამდენ გუნდს ვერ აუვა. აღარას ვამბობ სავარჯიშო მოედნების სიმცირეზე, რომლადაც ზემოთხსენებული გუნდების უმეტესობა ვაკის სტუდქალაქისა და სამედიცინო ინსტიტუტის იავარქმნილ სტადიონებს იყენებს. აი, ამიტომ მიმაჩნია გადაუდებელ საქმედ, სპორტის დეპარტამენტმა რაგბისთვისაც რომ მოიცალოს და არაორაზროვნად განაცხადოს, დედაქალაქის თხუთმეტიოდე სტადიონს როგორ გაუნაწილებს ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე თბილისის 15 საფეხბურთო და 11 სარაგბო კლუბს.

სტადიონების არქონა და ფეხბურთთან შედარებით უუფლებობა ქართული რაგბის ერთი ჭირია. ვაი, რომ გარდამავალმა პერიოდმა მანამდე უცნობი სხვა პრობლემებიც წამოჭრა: სამკერვალოებში ქსოვილი გაწყდა, სპორტული ფეხსაცმლის ფაბრიკებში — ტყავი და პლასტმასი, რის გამოც გაჭირდა ისედაც გაძვირებული კვართების, ნიფხვების, პაჭიჭებისა და წაღების შოვნა. საბჭოეთში რაგბის ბურთებს ვერსად კერავდნენ და ინდოეთისგან ყიდულობდნენ. ახლა ცენტრს ვალუტა სარაგბოდ აღარ ემეტება და რუსული გუნდებიც უბურთოდ დაურჩა. ასეთ დროს ჩვენებს ვინ მიჰხედავდა, თუ არ ისევ ჩვენიანი. ჰოდა, ქართველ ვეტერან მორაგბეთა სულმა და გულმა, ბატონმა დავით კილასონიამ თბილისის ერთ-ერთ ფაბრიკას რაგბის ბურთების შეკერვა დააწყებინა. პირველი ბურთები, პირველი პურის კუტობისა არ იყოს, მთლად კვერცხისებრი ვერ გამოვიდა, მაგრამ საქმე ხომ დაიძრა ადგილიდან?!

სიტყვამ მოიტანა და ბურთის კერვის დაწყება ქართული სარაგბო საზოგადოებრიობის ლამის ერთადერთი ბოლოდროინდელი მიღწევაა. სხვაფრივ რაგბის კავშირის სხდომებზე ნამდვილი პინგ-პონგია გაჩაღებული: უუფლებობითა და უსახსრობით გატანჯული კლუბები გასაჭირს კავშირის ზეგობის წევრებს შესჩივლებენ, ესენი კი ოსტატურად იგერიებენ ყოველ თხოვნასა თუ მოთხოვნას და გუნდებს სიტყვას ბანზე უგდებენ. ამის შემყურე გუნდებსაც გული უცრუვდებათ რაგბის კავშირზე, გრძნობენ, რომ რაგბი მისით თუ უმისოდ მაინც ერთნაირად იარსებებს და ლამისაა უარი თქვან სარაგბო საქმეების გადაწყვეტისას ხმის უფლებაზე — იმ უფლებაზე, რომლის მოსაპოვებლადაც შარშან იმდენი იმეცადინეს, რომ კინაღამ „დაჭამეს“ ერთმანეთი, ერთი მხრივ, სსრკ ჩემპიონატის უზენაესობის მომხრეებმა და, მეორე მხრივ, რაგბის კავშირის უპირობით მშრალზე მოტოვებულმა სტუდენტურმა კლუბებმა — ამათ ნაკრებს, თუკი რამე გამეგება, საფრანგეთს გამგზავრება ცხვირწინ ააცალეს!

ასეა თუ ისე, „7 დღეში“ ჩვენი კოლეგის მერაბ რატიშვილის მიერ დაწერილისა არ იყოს, ბევრი ლაპარაკით სტადიონები აქამდე არც სადმე აშენებულა და ალბათ ვერც აშენდება. მართლაც, დღეს, ეროვნული ჩემპიონატის კვირაძალს, ასე მოისაკლისებენ ქართველი მორაგბეები მუხიანის აუშენებელ სარაგბო კომპლექსს, გლდანის ხელბურთის სკოლასთან ასაშენებელ ორ სარაგბო მოედანს, გლდანის ტბასთან მოსაწყობ კიდევ ორ მოედანს, თბილისის ზღვის მეორე ბოლოსთან გასაფართოებელ სასკოლო სტადიონს, მტკვრის პირას, მუშთაიდთან შეგულვებულ ხუთ (!) მოედანს, რაგბისა და კეტბურთის სკოლის ვარკეთილის სტადიონს, აგერ უკვე ხუთი წელია რომ შენდება, ვაკის სტუდქალაქის მოასფალტებულ მოედანს, ზედ სახლს რომ აშენებენ, და იქნებ ვარკეთილისა და ქუთაისის „დინამოს“ სტადიონებსაც, რომლებზეც მორაგბეთა უფლებების დაცვა დღეს ერთობ ძნელადსაქმნელი ჩანს!

ᲖᲐᲐᲚ ᲒᲘᲒᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

# ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲗᲐ ᲒᲐᲜᲠᲘᲒᲘ

13.04 ყოჩები (სტუ) — მიმინო, აია — ვესტა.
14.04 გელათი — აკადემია, ზოოვეტი — იმერეთი (ქიაოთურა).
20.04 შევარდენი — ყოჩები.
21.04 მიმინო — გელათი, აკადემია — ზოოვეტი.
26.04 მიმინო — აკადემია.
27.04 ვესტა — ყოჩები.
28.04 იმერეთი — შევარდენი.
4.05 შევარდენი — ზოოვეტი, აკადემია — ვესტა.
5.05 ყოჩები — გელათი, მიმინო — აია.
7.05 ვესტა — მიმინო.
12.05 ზოოვეტი — ყოჩები, აია — შევარდენი, იმერეთი — აკადემია.
18.05 ყოჩები — აია.
19.05 გელათი — ზოოვეტი, შევარდენი — ვესტა, მიმინო — იმერეთი.
25.05 ზოოვეტი — მიმინო.
26.05 გელათი — შევარდენი, აია — აკადემია, ვესტა — იმერეთი.
30.05 იმერეთი — გელათი.
31.05 შევარდენი — აკადემია.
2.06 ზოოვეტი — აია, გელათი — ვესტა, ყოჩები — იმერეთი.
7.06 მიმინო — შევარდენი.
8.06 ვესტა — ზოოვეტი.
9.06 აკადემია — ყოჩები.

მეორე და მესამე ეტაპის თამაშები 15-16.06, 22-23.06, 29-30.06, 6-7.07 და 13-1407 გაიმართება.

ამერის ლიგაში ითამაშებენ „თბილისი“ (სამედიცინო ინსტიტუტი), ფიზკულტურის ინსტიტუტი, „რუსთავი-1990“, „უნივერსიტეტი“, „ივერია“ და „მეორე აკადემია“, იმერის ლიგაში — „ჯანი“ (ჩოხატაური), „აიეტი“ (ქუთაისის უნივერსიტეტი), „ფაზისი“ (ონი), „ლილე“ (ლენტეხი), „სათაფლია“ (წულტაბო), „ტელათის სკოლა“ (ქუთაისი).

პირველი ტურის თამაშთა განრიგი ასეთია: 13.04 „თბილისი“ — „მეორე აკადემია“, 14.04 ფიზკულტურის ინსტიტუტი — „ივერია“, „რუსთავი“ — „უნივერსიტეტი“, „ჯანი“ — „ტელათის სკოლა“, „აიეტი“ — „სათაფლია“, „ფ[illegible]ი“ — „ლილე“.

[illegible] ლიგაში გუნდს მოგებისათვის მიენიჭება 4 ქულა, ფრესთვის — 2, წაგებისთვის — 1, გამოუცხადებლობისა თუ სხვაფრივ დებულების უხეშად დარღვევისათვის — 0 ქულა.

„[illegible]ია“ — „ტელათისა“ და „აია“ — „იმერეთის“ თამაშები გუნდების [illegible]ერეთშეთანხმებისამებრ ჩემპიონატის ოფიციალურ სტატუტამდე უნდა გამართულიყო, მაგრამ მათი შედეგები „სარბიელის“ 28 ნომრის გამოშვებისას საქართველოს რაგბის კავშირისათვის ვაგლახ, რომ ჯერაც უცნობი იყო.

### ᲒᲣᲚᲣᲤᲐᲢᲙᲘᲕᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ

12

(გაგრძელება)



1991 წლის 4 აპრილი. ტოლიდო. ამ დღეს ჭეკ დემპსიმ მესამე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ჭეისი უილერდი და პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

თავის დროზე კრივის წესებზე გულდასმით უმუშავია ნობელის პრემიის კიდევ ერთ ლაურეატს, ცნობილ ინგლისელ დრამატურგს ბერნარდ შოუს: „...რაუნდი ხელთათმნებით ბრძოლის დროს სამ ან ოთხ წუთს უნდა გრძელდებოდეს... მოკრივე, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ვერ გაუძლებს მეტოქეს (აქ მხედველობაში მიიღება ნოკდაუნის შემდგომი ათწამიანი მონაკვეთიც), დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს. თანამედროვე კრივი, ფაქტობრივად, ამ ათწამიანი ლიმიტების საფუძველზე შეიქმნა... კრივში უპირატესობა ენიჭება ჭკუას, ხელოვნებას, სისწრაფეს, მოხერხებულობას და არავითარ შემთხვევაში — უხეშ ფიზიკურ ძალას“.

მაშ, ბოლოს და ბოლოს რა ყოფილა კრივი — სპორტი თუ ხელოვნება? ნობელის პრემიის ლაურეატებს თუ დავუჯერებთ, ცოტათი ხელოვნება, ცოტათი — ზუსტი მეცნიერება, ცოტათი — ცხოვრება და, რაც მთავარია — სპორტი, ოღონდ აზრიანი, რაინდული და შთაგონებული.

დაახლოებით ასე ფიქრობდნენ სპორტზე ანტიკურ დროშიც; ძველ ელინებს, მაგალითად, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის სახე კულტის დონემდე აჰყავდათ. მათი აზრით ნაკლოვანებები ფიზიკურ განვითარებაში ისევე სამარცხვინო და დასაგმობი იყო, როგორც ინტელექტის დეფიციტი. პლატონი ხეიბრად თვლიდა იმას, ვინც არ იცოდა წერა და იმასაც, ვინც ვერ დარბოდა. ამიტომ ამბობდნენ ძველი ბერძნები, ჯერ უნდა შეიქმნას მტკიცე და საიმედო ჭურჭელი და მერე უნდა შეიცვალოს იგი განათლების ნექტრითო. დიახ, კაცობრიობა თავის განვითარებაში საუკეთესო შედეგს აღწევდა მაშინ, როცა ფიზიკური და გონებრივი აღზრდა ერთმანეთს ავსებდა.

სწორედ ამიტომ ანტიკურ მოაზროვნეთა ცხოვრებაში სპორტს უდიდესი როლი ჰქონდა განკუთვნილი. მედიცინის მამა და პირველი ექიმი ჰიპოკრატე ამავე დროს ბრწყინვალე მოჭიდავე და ცხენსანი ყოფილა. სხვადასხვა სპორტული ჯილდოები ჰქონდათ მოპოვებული პლატონსა და სოკრატეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს... ხოლო პითაგორა სამოსელი, ვინც სრულყოფილად ასახავდა „ჰარმონიული ადამიანის“ ძველბერძნულ იდეალს, ერთნაირი წარმატებით ხმარობდა გეომეტრიულ ინსტრუმენტებს და მუშტს (იგი თავისი დროის სახელგანთქმული მოკრივე იყო).

ჯო ლუისი (მარცხნივ) და როკი მარჩიანო. ისინი რინგზე არ შეხვედრიან ერთმანეთს, ეს ფოტომონტაჟი კი კომპიუტერული მატჩის დროსაა გადაღებული, სადაც გამარჯვება ლუისს მიეკუთვნა.

როგორც ხედავთ, კრივს საკმაოდ შორს მიმავალი გენეალოგიური შტო აქვს და დასაბამს იგი ანტიკურ სამყაროში იღებს. მუშტი-კრივის შესახებ ცნობებს შეხვდებით ბაბილონურ და ასირიულ წყაროებში, ბერძნულ მითოლოგიაში, რომის იმპერიის ქრონიკებში. ამბობენ, რომ კალიგულას აფრიკიდან [illegible] ჩამოპყავდა მოკრივეები, აწყობდა მათს საჩვენებელ შეხვედრებს და გამარჯვებულს შონაქალებით აჯილდოებდა.

რატომ მოიკიდა კრივმა აგრერიგად ფეხი და რატომ მოაღწია მან თითქმის უცვლელი სახით ჩვენს დრომდე? ამ კითხვაზე პასუხს ალბათ ისევ მორის მეტერლინკი გვაძლევს: „მიუხედავად ათასგვარი გონებრივი გარჯილობისა, ჩვენ, კაცთა, გვმართებს, ხანდახან მაინც გამოვნახოთ დრო“ იმ ვარჯიშებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად უწყობენ ხელს სხეულის ძალასა და მოქნილობას. უნდა მივდევდეთ იმ საწვრთნელ ვარჯიშებს, რომლებიც გამსგავსებს დამუტტულ და მეტოქის დამზაფრავ, თასმასავით მოქნილ ცხოველს, მუდამ რომ მზადაა, პირისპირ შეეპას საფრთხეს“...

კრივის კანონთა პირველი კოდექსი შეადგინა ინგლისური ცირკის მეპატრონემ ჯეიმს ბრაუტონმა 1743 წელს. დაახლოებით ამ პერიოდში ბრიტანეთში გაიხსნა კრივის აკადემია და მოკრივეთა სკოლები. 1865 წელს ჯენტლმენთა მიერ მოწონებული და მოკრივეთა მიერ შევსებულ-შესწორებული ბრაუტონის წესები გამოიცა, როგორც „მარკიზ კუინსბერის წესები“ (კუინსბერი პირველი გაამომცემლის გვარი იყო).

1904 წელს კრივი ოლიმპიური სახეობა გახდა. 1925 წელს საფუძველი ჩაეყარა ამ სახეობაში ევროპის ჩემპიონატს, 1974 წელს — მსოფლიო ჩემპიონატს, 1979 წელს — მსოფლიო თასის გათამაშებას.

1920 წელს შეიქმნა კრივის საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიშალა, როგორც ფაშიზმთან თანამშრომლობის გამო სახელგატეხილი საერთაშორისო ორგანიზაცია და 1946 წელს მის ნაცვლად ჩამოყალიბდა მოყვარულ მოკრივეთა საერთაშორისო ფედერაცია (აიბა), რომელიც ამ კატეგორიის კრივის ყველა საქმის გამგებელია.

მაგრამ სამოყვარულო კრივის არსებობა თავისთავად გულსხმობს იმას, რომ არსებობს მასთან დაპირისპირებული პროფესიული კრივი. დიახ, ეს ასეა. პროფესიულ კრივს პოპულარობით მსოფლიოში ალბათ ვერც ერთი სპორტი ვერ შეედრება, განსაკუთრებით — მძიმეწონოსანთა ბრძოლას პირველობისთვის, რომლის ისტორიაც გასულ საუკუნეში იწყება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐᲡ ᲣᲫᲦᲕᲔᲑᲐ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ

# ბაბუ დაბრუნდა

# მარკ სპიცი:

## „რა ვიცი, იქნებ მართლაც შერეკილი ვარ?“

მარკ სპიცი

უაბლოეს ხანში ამერიკელი მარკ სპიცი თავის ბიუჯეტს სულ ცოტა 80 ათასი დოლარით შეავსებს. ამისთვის საკმარისია წარსულში სახელგანთქმულმა სპორტსმენმა მონაწილეობა მიიღოს ორ საჩვენებელ გაცურვაში, რომელსაც აშშ-ის კომერციული ფირმა „აი-ემ-ჯი“ აწყობს.

ნუ იფიქრებთ, რომ ეს სპიცის მორიგი სარეკლამო ტრიუკია. ამ სახელგანთქმულ ამერიკელს ბევრად უფრო ფერიოზული განზრახვა აქვს. 41 წლის ლეგენდარულმა მოცურავემ გადაწყვიტა „დრო დაამარცხოს“ და კვლავ დაუბრუნდეს დიდ სპორტს, რომელსაც მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიადის შემდეგ დაემშვიდობა. სპიცმა სახელი გაითქვა სწორედ მიუნხენის თამაშებზე, როცა შვიდი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა. მას შემდეგ სპიცმა საკმაო წარმატებებს მიაღწია ბიზნესის სფეროში და აი, ახლა, 18 წლის შემდეგ, იგი კვლავ ოცნებობს თავისი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრაზე. თანაც, ფიქრობს, რომ ბარსელონაში შეძლებს მედლის მოპოვებას 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში.

სპიცის განცხადებამ მთელი სპორტული სამყარო აალაპარაკა. ხუმრობა ხომ არ არის, ახლა მას ასპარეზობა მოუხდება სპორტსმენებთან, რომლებიც შვილებად ერგებიან. გარდა ამისა, სანამ ბარსელონის თამაშებში მონაწილეობის საკითხი დადგება, სპიცმა ჯერ შესარჩევ შეჯიბრებათა ბარიერი უნდა გადალახოს ამერიკის უძლიერესებთან ჰიდილში და გუნდში სულ ცოტა მესამე ნომერი მაინც მიიღოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მარკს ამჯერად ისეთი სისწრაფით დასჭირდება ცურვა, როგორიც ჯერ ცისფერ ბილიკებზე არასოდეს უჩვენებია.

მიუნხენში 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში სპიცის შედეგი იყო 54.27 წამი. დღევანდელი მსოფლიო რეკორდი, რომელიც მის თანამემამულე პაბლო მორალესს ეკუთვნის, 52.84 წამია.

— წარმატების მისაღწევად მარკმა თავის საუკეთესო შედეგებს უნდა აჯობოს, — ამბობს აშშ-ის ნაკრების მწვრთნელი დენის პერსლი, — მე კარგად ვიცნობ ამ კაცის ხასიათს და ეჭვიც არ მეპარება, რომ იგი შეძლებს გადალახოს 54 წამის ზღვარი.

იმავე პერსლის სიტყვით, ვარჯიშის განახლების შემდეგ სპიცმა წარმოუდგენელ პროგრესს მიაღწია, კოლორადო-სპრინგსის მოცურავეთა სპორტული კვლევის საერთაშორისო ცენტრში ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ოლიმპიურ ჩემპიონს დღესაც დიდი პოტენციალი აქვს.

— ზოგიერთი შერეკილს მეძახის. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მე რეალურად ვაფასებ ჩემს შესაძლებლობებს და ვისწრაფი იმისაკენ, რაც საკუთარი მისაწვდომად მიმაჩნია, — ამბობს მარკ სპიცი, რომელიც, თუ თავისი გეგმები მართლაც განახორციელა, ოლიმპიადის ისტორიაში ყველაზე ხნიერი მოცურავე იქნება.

თუმცა სპორტის მოყვარულები მალე თავად დარწმუნდებიან, რამდენად რეალურია სპიცის მიზნები. 13 აპრილს ლოს-ანჯელესში იგი ბატერფლაით ცურვაში შეეჯიბრება თავის თანამემამულეს, 26 წლის ტომ ჯეგერს, მსოფლიო რეკორდსმენს თავისუფალ სტილით 50 მეტრზე ცურვაში, ორი კვირის შემდეგ კი, 27 აპრილს, იქვე შედგება მისი დუელი მეორე ამერიკელ მოცურავესთან, სეულის ოლიმპიადის ხუთგზის ჩემპიონთან, 25 წლის მეტ ბიონდისთან, რომელიც მსოფლიო რეკორდსმენია 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

სწორედ ამ ორი შეჯიბრების დაფინანსება გადაწყვიტა ფირმა „აი-ემ-ჯიმ“. ასპარეზობა, რომელსაც „საუკუნის გაცურვები“ ეწოდა, ეროვნული ტელევიზიით გადაიცემა.

— ფული არაფერში მჭირდება, ისედაც საკმაოდ შეძლებული კაცი ვარ, მაგრამ მე მაქვს საშუალება თავდაყირა დავაყენო ყველა შეხედულება ადამიანის შესაძლებლობათა შესახებ. ყველას დავუმტკიცებ, რომ 41 წლის კაცსაც შეუძლია სწრაფად ცურვა — ამბობს მარკ სპიცი.

მოამზადა
**შალვა მიხელიძემ.**

---

წლევანდელი აპრილი მსოფლიო სპორტის ისტორიაში გამორჩეულ ადგილს დაიჭერს. საქმე ის არის, რომ სწორედ აპრილში დიდ სპორტს უბრუნდებიან სახელგანთქმული ათლეტები, რომლებიც კარგა ხანია ავანსცენაზე არ სჩანდნენ: 41 წლის მოკრივე ლარი ჰოლმსი, ასევე 41 წლის მოცურავე მარკ სპიცი, 43 წლის მოკრივე ჯორჯ ფორმენი და 34 წლის ჩოგბურთელი ბიორნ ბორგი. ვინ არიან ისინი — შერეკილები თუ ჯადოქრები?

## ანუ ორი ნოკაუტი ერთ საღამოს

სამწლიანი შესვენების შემდეგ რინგზე დაბრუნება ვადამდე გამარჯვებით აღნიშნა მსოფლიოს ექსჩემპიონმა მძიმე წონაში ლარი ჰოლმსმა. გასულ კვირას მან ფლორიდაში პირველსავე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო ტომ „დოკ“ ანდერსონი.

უნდა ვაღიაროთ, რომ ორთაბრძოლის ფინალი მოულოდნელი გამოდგა, 1988 წლის იანვრის შემდეგ, როცა მეორე რაუნდში წააგო მაიკ ტაისონთან, ჰოლმსმა განაცხადა, საბოლოოდ ვტოვებ სპორტსო და არც ერთხელ არ ჩაუცვამს ხელთათმანი.



1978 წლის 18 ივლისი. ლარი ჰოლმსმა (მარჯვნივ) მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის თავისი პირველი ბრძოლა მოუგო კენ ნორმანს.

ამჯერად გულშემატკივრებმა, რომლებმაც ბილეთში 250 დოლარი გადაიხადეს, ვერ მოასწრეს დამტკბარიყვნენ ნამდვილი სპორტული სანახაობით. 41 წლის ჰოლმსი, რომელმაც წონაში თითქმის ათი კილოგრამი მოიმატა (ტაისონთან შეხვედრისას იგი 97 კგ-ს იწონიდა), მაგრამ შეინარჩუნა უწინდებური ძალა, მეტოქეს გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა. ორი წუთისა და სამი წამის შემდეგ რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა.

შეხვედრის შემდეგ გახარებულმა ჰოლმსმა, რომელიც სულ ახლახან ბაბუა გახდა, განაცხადა, მე საკმაოდ შეძლებული კაცი ვარ და რინგზე ფულისთვის არ დავბრუნებულვარო. მას რწმენა შემატა რინგზე ახლახან დაბრუნებული 43 წლის ჯორჯ ფორმენის წარმატებამ, რომელთანაც მას გაისად სურს შეხვედრა.

ჯერჯერობით კი, ამ საღამოს ჰოლმსს დასჭირდა კიდევ ერთი დაუგეგმავი „ორთაბრძოლის“ ჩატარება, რომელმაც არანაკლები ინტერესი გამოიწვია. სასტუმროს შესასვლელში ლარის ელოდა მეორე სახელგანთქმული მოკრივე ტრევორ ბერბიკი, რომელმაც გადაწყვიტა მისთვის ანგარიში გაესწორებინა „ყოფით ნიადაგზე“ — იგი ჰოლმს ბრალს სდებს, ჩემი ოჯახის დანგრევას აპირებდიო.

ჩხუბი უამრავი ხალხის თვალწინ — ბერბიკის ნოკაუტით დამთავრდა.

---

ᲰᲝᲙᲔᲘ

# ლორდის მეფური საჩუქარი

სტენლის თასი ჩრდილოეთ ამერიკაში უძველესი ჯილდოა. ეს თასი 1893 წელს ნჰლ-ს საჩუქრად უძღვნა პრესტონის ლორდმა ფრედერიკ არტურ სტენლიმ, დერბის გრაფის შვილმა. იგი ლორდ სტენლიმ 10 გინეად შეიძინა, რომელიც იმ დროს 50 დოლარის ტოლფასი გახლდათ. 1910 წლიდან, მას შემდეგ, როდესაც ეროვნული ჰოკეის ასოციაცია დაეუფლა თასს, იგი გახდა პროფესიული ჰოკეის განუმეორებელი სიმბოლო... 1946 წელს ნჰლ-მ მოიპოვა მასზე მონოპოლიური უფლებები, რამაც თასის სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებები გამოიწვია. თასი დღესდღეობით 6000 დოლარად არის შეფასებული, ხოლო მასზე იმ გუნდების სახელების ამოტვიფრა, რომლებმაც წლების მანძილზე მოიგეს სტენლის თასი, 10000 დოლარი დაჯდა.

სტენლის თასი

რამდენიმე დღეა დაიწყო სტენლის თასის მორიგი გათამაშება.

ამჯერად გაგაცნობთ სტენლის თასის ყველა მფლობელს.

1892-93 მონრეალ ა.ა.ა.
1893-94 მონრეალ ა.ა.ა.
1894-95 მონრეალ ვიქტორია
1895-96 ვინიპეგ ვიქტორია
1895-96 მონრეალ ვიქტორია
1896-97 მონრეალ ვიქტორია
1897-98 მონრეალ ვიქტორია
1898-99 მონრეალ შამროკი
1899-00 მონრეალ შამროკი
1900-01 ვინიპეგ ვიქტორია
1901-02 მონრეალ ა.ა.ა.
1902-03 ოტავა სილვერ სევენი
1903-04 ოტავა სილვერ სევენი
1804-05 ოტავა სილვერ სევენი
1905-06 მონრეალ უანდერერსი
1906-07 კენორა ზისტელსი
1906-07 მონრეალ უანდერერსი
1907-08 მონრეალ უანდერერსი
1908-09 ოტავა სენატორსი
1909-10 მონრეალ უანდერერსი
1910-11 ოტავა სენატორსი
1911-12 კვებეკ ბულდოგსი
1912-13 კვებეკ ბულდოგსი
1913-14 ტორონტო ბლუშერსი
1914-15 ვანკუვერ მილიონერსი
1915-16 მონრეალ კანადიენსი
1916-17 სიეტლ მეტროპოლიტენსი
1917-18 ტორონტო ერინა
1918-19 ————
1919-20 ოტავა სენატორსი
1920-21 ოტავა სენატორსი
1921-22 ტორონტო პეთსი
1922-23 ოტავა სენატორსი
1923-24 მონრეალ კანადიენსი
1924-25 ვიქტორია ჭოუგარსი
1925-26 მონრეალ მერუნსი
1926-27 ოტავა სენატორსი
1927-28 ნიუ-იორკ რეინჯერსი
1928-29 ბოსტონ ბრიუნსი
1829-30 მონრეალ კანადიენსი
1930-31 მონრეალ კანადიენსი
1931-32 ტორონტო მეიფლ ლიფსი
1932-33 ნიუ-იორკ რეინჯერსი
1933-34 ჩიკაგო ბლეკს ჰოუკსი
1934-35 მონრეალ მერუნსი
1935-36 დეტროიტ რედ უინგსი
1936-37 დეტროიტ რედ უინგსი
1937-38 ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსი
1938-39 ბოსტონ ბრიუნსი
1939-40 ნიუ-იორკ რეინჯერსი
1940-41 ბოსტონ ბრიუნსი
1841-42 ტორონტო მეიფლ ლიფსი
1942-43 დეტროიტ რედ უინგსი
1943-44 მონრეალ კანადიენსი
1844-45 ტორონტო მეიფლ ლიფსი
1945-46 მონრეალ კანადიენსი
1946-47 ტორონტო მეიფლ ლიფსი
1947-48 ტორონტო მეიფლ ლიფსი
1948-49 ტორონტო მეიფლ ლიფსი
1949-50 დეტროიტ რედ უინგსი
1950-51 ტორონტო მეიფლ ლიფსი
1951-52 დეტროიტ რედ უინგსი
1952-53 მონრეალ კანადიენსი
1953-54 დეტროიტ რედ უინგსი
1954-55 დეტროიტ რედ უინგსი
1955-56 მონრეალ კანადიენსი
1956-57 მონრეალ კანადიენსი
1957-58 მონრეალ კანადიენსი
1958-59 მონრეალ კანადიენსი
1959-60 მონრეალ კანადიენსი
1960-61 ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსი
1961-62 ტორონტო მეიფლ ლიფსი
1962-63 ტორონტო მეიფლ ლიფსი
1963-64 ტორონტო მეიფლ ლიფსი
1964-65 მონრეალ კანადიენსი
1965-66 მონრეალ კანადიენსი
1966-67 ტორონტო მეიფლ ლიფსი
1967-68 მონრეალ კანადიენსი
1968-69 მონრეალ კანადიენსი
1969-70 ბოსტონ ბრიუნსი
1970-71 მონრეალ კანადიენსი
1971-72 ბოსტონ ბრიუნსი
1972-73 მონრეალ კანადიენსი
1973-74 ფილადელფია ფლაიერსი
1974-75 ფილადელფია ფლაიერსი
1975-76 მონრეალ კანადიენსი
1976-77 მონრეალ კანადიენსი
1977-78 მონრეალ კანადიენსი
1978-79 მონრეალ კანადიენსი
1979-80 ნიუ-იორკ აილენდერსი
1980-81 ნიუ-იორკ აილენდერსი
1981-82 ნიუ-იორკ აილენდერსი
1982-83 ნიუ-იორკ აილენდერსი
1983-84 ედმონტონ ოილერსი
1984-85 ედმონტონ ოილერსი
1985-86 მონრეალ კანადიენსი
1986-87 ედმონტონ ოილერსი
1987-88 ედმონტონ ოილერსი
1988-89 კალგარი ფლეიმსი
1989-90 ედმონტონ ოილერსი

შენიშვნა: 1895-96 და 1906-07 წლებში თასი ორ-ორჯერ გათამაშდა. 1918-19 სეზონის გათამაშება არ დასრულდა გრიპის უმძიმესი ეპიდემიის გამო (ერთ-ერთი ჰოკეისტი გარდაიცვალა კიდეც).

ნჰლ-ის ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი ჰოკეისტი ბრეტ ჰალი („სენტ-ლუის ბლუზრ“). მან 86 შაიბა შეაგდო მეტოქეთა კარში, რაც ნჰლ-ის ისტორიაში მესამე შედეგია. ეს მხოლოდ სახელგანთქმული უეინ გრეცკის ჩაწვენებლებს ჩამოუვარდება (92 და 87 შაიბა ერთ სეზონში)

# პურზე, ფულზე და, რაც მთავარია, ფეხბურთზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინტერვიუ ყოველგვარი კომენტარის გარეშე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**Ყველა მეუბნებოდა — არაფერი არ გამოგივა, ჩივაძე ინტერვიუს არ მოგცემსო, ჟურნალისტები არ უყვარსო.**

— არა, არ არის მართალი.

**— მაშ, ეს ლეგენდა საიდან გაჩნდა?**

— არ ვიცი, მე პატივს ვცემ ჟურნალისტების შრომას. საერთოდ პატივს ვცემ პროფესიონალებს, რომელ სფეროშიც არ უნდა მუშაობდნენ ისინი. თუმცა, შეიძლება ამას იმიტომ ამბობენ, რომ მართლაც და ყველას არ ვაძლევ ინტერვიუს. მე დარწმუნებული უნდა ვიყო თანამოსაუბრის კომპეტენციაში.

**— როგორ ფიქრობთ — რა უნდა იცოდეს ფეხბურთის შესახებ ადამიანმა, რომელსაც უნდა ამაზე წეროს?**

— ყველაფერი! მან ისევე უნდა იცოდეს ფეხბურთი, როგორც ფეხბურთელმა.

**— ნიშნავს თუ არა ეს იმას, გარდა ყოფილი ფეხბურთელებისა, არავინ არ უნდა წეროს ფეხბურთზე? გამოდის, რომ ქალებიც უნდა დუმდნენ...**

— არა, მე ეს არ მითქვამს. არსებობს უამრავი საფეხბურთო თემა, რომელზეც კარგ ჟურნალისტს შეუძლია კარგად დაწეროს. მაგრამ აუცილებელია საკუთარი შესაძლებლობების ცოდნა. არ უნდა ლაპარაკობდე იმაზე, რაც შენ თვითონ ნაკლებად გაგეგება. სპეციალისტი ყოველთვის ამჩნევს ასეთ რამეს და ველარასოდეს იჯერებს მას, ვერ პატიობს. რაც შეეხება ქალებს, ბევრი „ქალური" მასალა წამიკითხავს ფეხბურთის შესახებ, და უნდა გითხრათ, რომ მათ ჩემში პროტესტი არ გამოუწვევიათ. ასე რომ ფეხბურთის შესახებ წერა ყველას შეუძლია, ოღონდ დილეტანტი არ უნდა იყო.

**— მაგრამ ახლა ჟურნალისტიკაში დილეტანტიზმის ნამდვილი „პარადია". ის კი არა, ასეთი ხუმრობაც დადის — დღეს კაცს საკუთარი გაზეთი რომ არ ჰქონდეს, უხერხულიც კია. წერს ყველა, ვისაც არ ეზარება.**

— პოდა, მეც იმიტომ ვარ ასე ფრთხილი.

**— იქნებ ამით თქვენს ჩარჩაკეტილობას, გულდახურულობას მალავთ? თქვენ თვითონ რას ფიქრობთ თქვენ თავზე — როგორი ხართ?**

— მე მგონი, კომუნიკაბელური კაცი უნდა ვიყო. მე ბევრი მეგობარი მყავს. მე არ ვცნობ ისეთ გამოთქმას: „მეგობარი ერთი-ორი უნდა გყავდეს, მაგრამ ნამდვილი". მე ხშირედ ბევრი ახლო, ერთგული მეგობარი მყავს.

**— მე თქვენს მეგობრებში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ თქვენ უთუოდ ისეთი ადამიანებიც შეგხვედრიან, რომლებსაც იმიტომ უნდოდათ თქვენთან მეგობრობა, რომ ალექსანდრე ჩივაძე ხართ.**

— არა, ასეთი არავინ ყოფილა. მე ყოველთვის ვცდილობდი, რომ ჩემს სახელს არ დაეთრგუნა ჩემს გარშემო მყოფნი. ურთიერთობაში მე ადამიანს ვეხმარები გულის გადაშლაში, საკუთარი თავის გამოვლენაში. მე მეჩვენება, რომ მე უფრო მეტად ვინტერესდები ჩემი მეგობრებით, ვიდრე ისინი ჩემით.



დაიბადა 1956 წლის 8 აპრილს თბილისში. „დინამოში" თამაშობდა 1974-87 წლებში. სსრკ ჩემპიონი (1978), თასის მფლობელი (1976, 1979), თასების თასის მფლობელი (1981). სსრკ №1 ფეხბურთელი (1980). სსრკ ნაკრებში (1980-87) — 49 მატჩი, 3 გოლი. 26 შეხვედრაში იყო გუნდის კაპიტანი.

გია ახალაძის ფოტო

**— ვინ არის თქვენი მეუღლე?**

— ჩემი ცოლი მხატვარია, სამხატვრო აკადემია აქვს დამთავრებული, მაგრამ არ მუშაობს, შვილებს ზრდის. ჩვენ ერთად გადავწყვიტეთ, რომ ასე უკეთესი იქნება.

**— მაშასადამე, ოჯახს მარტო თქვენ ინახავთ. როგორი ხელფასი აქვს ვიცე-პრეზიდენტს?**

— საკმაოდ მაღალია.

**— მაგრამ ფეხბურთელებს, თანაც ყოფილებს — მდიდარი არ ეთქმით...**

— კარიერის დასასრულისთვის თითოეულ ფეხბურთელს რაღაც გარკვეული თანხა უგროვდება. თუმცა ჩვენ არასდროს არ მიგვიღია იმდენი, რამდენსაც დღევანდელი ქართველი ფეხბურთელები იღებენ.

**— დიახ, თქვენ სხვა რამ გქონდათ — დიდება, სახელი. თქვენ მრავალ ქალაქსა და ქვეყანაში გამოდიოდით, და გულშემატკივრები ყველგან სახეზე გცნობდნენ. მოდით, ვაღიაროთ: დღეს იმათი დიდების ფარგლები, ვინც ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობს, მკვეთრად არის შემოსაზღვრული.**

— კი, მაგრამ, მოდით სხვა რამეც ვაღიაროთ: ნამდვილი დიდება, ის დიდება, რომლის ღირსნიც არიან ქართველი ფეხბურთელები, ჩვენ არც არასდროს გვქონია. ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში ბევრია ისეთი, ვინც ისე წავიდა სპორტიდან, რომ აღიარებას ვერ ეღირსა. რამდენი მინახავს საზღვარგარეთ ისეთი ფეხბურთელებისადმი მიძღვნილი აფიშა, სარეკლამო ფილმი, რომლებიც არაფრით არ ჯობნიან ჩვენებს. ჩემს თაობას საყვედური არ ეთქმის, მაგრამ იმათ გამო მტკივა გული, ვინც ჩვენამდე იყო.

**— ასეა თუ ისე, სახელი, რომელსაც ფეხბურთელი მინდორზე მოიპოვებდა, ცხოვრებაში მოწყობაში ეხმარებოდა მას. ახლა გამოდის, ნაკლებია დიდება — ნაკლებია პრივილეგიებიც.**

— საქმე აქ დიდებაში არ არის. ახლა სხვა დროა. ცოდნა, და არა დიპლომი მოეთხოვება არა მარტო ფეხბურთელს, არამედ სხვა ნებისმიერ ადამიანს. ასეც უნდა იყოს — ყველა საქმეში საჭიროა პროფესიონალები. პური ვინ უნდა გამოაცხოს? ადამიანმა თავიდანვე უნდა გადაწყვიტოს — სპორტს მისდიოს, თუ სხვა რამეს. დღეს ფეხბურთელები სხვა მიწიერ პროფესიათა ადამიანებზე ნაკლებს არ იღებენ, მაგრამ მათ მიერ გამომუშავებული ვერაფრით შეედრება უცხოელ ფეხბურთელთა გასამრჯელოს. ამიტომაც ჩვენ დავეხმარებით ფეხბურთელებს საზღვარგარეთ კონტრაქტით გამგზავრებაში. აი, ვთქვათ, გურული წავიდა პოლონეთში სათამაშოთ, ჭედია კი — შვეციაში. ასეთი შესაძლებლობა ექნება ყველა კარგ ფეხბურთელს. ცხადია, თავის შესარცხვენად საზღვარგარეთ არავის გავუშვებთ.

**— თქვენ ფიქრობთ, ეს რეალურია? გურულს და ჭედიას ხომ ჯერ კიდევ თბილისის „დინამოში" თამაშით იცნობდნენ. ახლა ცოტა ვინმე იცნობს ქართველ ფეხბურთელებს.**

— არა, ეს ასე არ არის. ის, ვინც დაინტერესებულია, ინფორმაციის მიღებასაც ახერხებს. თანაც, ვფიქრობ, რომ ქართულ ფეხბურთთან დაკავშირებული სიტუაცია მალე შეიცვლება, ჩვენ გვაღიარებენ. მე ოპტიმისტი ვარ.

**— თქვენ ეროვნულ ფედერაციაში მისი შექმნის თითქმის პირველი დღიდან მუშაობთ. თუ შეხვედრიხართ ამ ხნის განმავლობაში უცხოელ სპეციალისტებს ან ჟურნალისტებს?**

— ჟურნალისტებს შევხვედრივარ, სპეციალისტებს — არა. მე მისაუბრია „ცენტრალური გაზეთების" ან სხვა რესპუბლიკების გამოცემების ჟურნალისტებთან. ვფიქრობ, უცხოეთში თვალს ადევნებენ საქართველოდან მიღებულ ყველა ცნობას.

**— დღეს საიდუმლოს აღარავისთვის წარმოადგენს ის ამბავი, რომ ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის იდეა არც სპეციალისტებს „გაუტანიათ" და არც ფეხბურთელებს. თუ არ ვცდები, უპირველესად სწორედ ეს ხალხი იყო წინააღმდეგი. თქვენ?**

— რა თქმა უნდა, მინდორზე თავისი ეროვნული დროშის ქვეშ გამოსვლაზე ყველა ფეხბურთელი ოცნებობს. მეც ბედნიერი ვიქნებოდი, ეს რომ მომწეოდა, მაგრამ ის, რაც 1990 წლის 15 თებერვალს მოხდა, სრული მოულოდნელობა იყო ჩემთვის — მე არ მეგონა, რომ ეს ასე მოხდებოდა და თანაც მაშინ.

**— თქვენი პირველი შთაბეჭდილება?**

— მე შოკში ვიყავი.

**— მერე?**

— მარტო მე კი არა, ყველამ, ვისაც თავისი სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია ფეხბურთის გარეშე, გადავწყვიტეთ უმრავლესობის აზრს დავთანხმებოდით. ფეხბურთი — ხალხური თამაშია. ყოველთვის შენ ხალხთან უნდა იყო, თანაც არ შეიძლებოდა ფეხბურთის იმათი მეურვეობის ქვეშ დატოვება, ვინც მისგან შორს დგანან, ამის უფლება ჩვენ არა გვაქვს.

თბილისის „დინამოს" დაცვა (მარცხნიდან: ხიზანიშვილი, ჩივაძე, კოსტავა, მუჯირი) მზადაა შეტევის მოსაგერიებლად.

გია ახალაძის ფოტო

**— ხომ არ უცდიათ შემდგომში ამ არასპეციალისტებს, სპეციალისტები რომ დაარწმუნეს, შემდგომშიც გაეწიათ თქვენი საქმიანობის კურირება.**

— კი, მათი მხრიდან რაღაც დიქტატის ცდები იყო, მაგრამ ჩვენ ადვილად დავძლიეთ ისინი. ახლა ჩვენს ფედერაციაში 60-მდე კაცი მუშაობს, და მგონი, არცერთი დილეტანტი არ გვერევა. ჩვენ ყველანი დილის ცხრის ნახევარზე ვიწყებთ მუშაობას და ზოგჯერ, ტურების შემდეგ, ღამემდეც ვრჩებით ხოლმე. ძალზე ბევრი „საგანგებო შემთხვევა" გვაქვს და ისინი გულდასმით უნდა გაირჩეს. იმავე დროს ჩვენ სხვა მიმართულებითაც ვმუშაობთ. ჩვენ გვესმის, რომ ხანგრძლივი იზოლაცია დაუშვებელია, და ამიტომ ყველანაირად ვცდილობთ მივაღწიოთ აღიარებას ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, დიდ ასპარეზზე გასვლით.

**— იცით, გულშემატკივარს ჩვეულებრივ გულშემატკივარს, სამომავლო პერსპექტივის გარდა, სხვა რამის ნახვაც უნდა — კარგი ფეხბურთისა ეროვნული დროშის ქვეშ და თანაც დღეს.**

— რა, თქვენ არ მოგწონთ, როგორ თამაშობენ ჩვენი გუნდები ეროვნულ ჩემპიონატში? ის, რომ სტადიონებზე ცოტა გულშემატკივარია, მაჩვენებლად არ გამოდგება. ახლა ხალხი საერთოდ ნაკლებად დადის ფეხბურთზე. შეხედეთ, „ტორპედო" და „ცსკა" თამაშობენ, ტრიბუნებზე კი სამი ათასი გულშემატკივარი თუ იქნებოდა. ეს საერთო ტენდენციაა ფეხბურთში, ყველა რესპუბლიკაში ასეთი მდგომარეობაა. იქნებ ეს იმიტომ ხდება, რომ ფეხბურთი ზეიმია, ჩვენ კი ახლა არ გვეზეიმება. გაივლის რაღაც დრო, და ყველაფერი თავის ადგილს დაიჭერს.

**— ეროვნულ ჩემპიონატში საყვარელი გუნდი თუ გყავთ?**

— კი, რა თქმა უნდა. უცნაური იქნებოდა, მე რომ ეს გუნდი არ მიყვარდეს, თბილისის „იბერია".

**— მოთამაშე?**

— არის რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი, რომელთა თამაშიც მომწონს.

**— როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ახლა ფეხბურთელებს შორის მომავალი ჩივაძე?**

— მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

**— თავის დროზე თქვენ ბეკენბაუერს გადარებდნენ, თქვენ როგორ ეკიდებით ასეთ შედარებას?**

— რა თქმა უნდა, ფეხბურთელისთვის ძალზე სასიამოვნოა, თუკი მას ბეკენბაუერს ადრიან, ეს დიდი პატივია. მაგრამ ეს კითხვა წინაზე უფრო რთულია. მასზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

**— თუ ასეა, მაშინ მე ადვილ კითხვას მოგცემთ. 8 აპრილს თქვენი დაბადების დღე იყო. როგორ აღნიშნეთ?**

— როგორც ყველა აღნიშნავს დღეობას. საერთოდ ისეთი კაცი ვარ, როგორც ყველა.

ესაუბრა პეპი ბოჭორიშვილი.

## ტექნიკური შედეგები

### მძლეოსნობა

ბოსტონის საერთაშორისო შეჯიბრება, ე.წ. „რძის გარბენი“. 10 კმ. ვაჟები. ორე ნაკიმ (ნორვეგია) — 29.13,0. ქალები. ანე-მარი ლეტკო (აშშ) — 32.43,0. სპორტულ მოსიარულეთა საერთაშორისო ტურნირი. სიუდად-ვიუტორია (მექსიკა). ერთსაათიანი სიარული. 1. მიხაილ შჩენკოვი (სსრკ) — 14 კმ 830 მ; 2. ფოკ სან ჩესი (მექსიკა) — 14 კმ 818 მ. ქალები. 10 კმ. ალინა ივანოვა (სსრკ) — 44.35,7.

კეიპტაუნში, სამხრეთაფრიკელმა მძლეოსნებმა ზოლა ბად-პატერსმა და ელანა მაიერმა აფრიკის ახალი რეკორდები დამყარეს: 24 წლის ზოლამ, რომლის სარბიელზე დებრუნების შესახებ უკვე ვწერდით, 2 კილომეტრი 5 წუთსა და 38,07 წამში გაირბინა, ხოლო მაიერმა 5 კმ 14.49,35 დაფარა. ორივე შედეგი ექსტრაკლასისაა.

### ჩოგბურთი

საერთაშორისო ტურნირები. ორლანდო (აშშ). ფინალი. ანდრე აგასი (აშშ) — დერეკ როსტანი (აშშ) — 6:2, 1:6, 6:3 (ამ გამარჯვების შემდეგ აგასიმ უძლიერეს მოთამაშეთა კლასიფიკაციაში მე-6 ადგილზე გადინაცვლა). ჰიუსტონი. ფინალი. მაგნუს გუსტავსონი — მაგნუს ლარსონი (ორივე — შვეცია) — 6:7, 7:6, 6:1).

### ველოსპორტი

ბასკონიის ტური. პირველი ეტაპი. 1. ად ვინანდსი (ჰოლანდია); 2. მალკოლმ ელიოტი (დიდი ბრიტანეთი); 3. ასიატ სიატოვი (სსრკ) — სამივეს 3:00.02 აჩვენა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ პროფესიული ველოსიპორტის ვარსკვლავები: ირლანდიელი სტეფან როჩი, ესპანელი პედრო დელ მადო, მსოფლიო თასის მფლობელი იტალიელი ჯანი ბუნინო, მისი თანამემამულე კლაუდიო კიაპუჩი და სხვები.

მეორე ეტაპმა წარმატება მოუტანა გერმანელ ანდრეას კაპესს, რომელმაც 199 კილომეტრი 5 საათსა და 11 წუთში დაფარა. ორი ეტაპის შემდეგ რბოლის ლიდერი გახდა ინგლისელი მალკოლმ ელიოტი, ოღონდ მრბოლთა პირველ ათეულს თითქმის ერთნაირი შედეგები აქვთ.

### ამერიკული ფეხბურთი

მსოფლიო ლიგა. 30.03 — 1.04. II ტური. ლონდონი (ინგლისი) — ნიუ-იორკი (აშშ) 22:18, მონრეალი (კანადა) — ბარსელონა (ესპანეთი) 10:34, სან-ანტონიო (აშშ) — ფრანკფურტი (გერმანია) 3:10. 6-8.04. III ტური. ლონდონი — ორლანდო (აშშ) 35:12, რალი დარემი (აშშ) — ბარსელონა 14:26, ნიუ-იორკი — ფრანკფურტი 17:27, სან-ანტონიო — საკრამენტო (აშშ) 10:3, ბერმინგეში (აშშ) — მონრეალი 10:23. ლონდონსა და ბარსელონას 3-3 მოგება აქვთ, ფრანკფურტს, მონრეალსა და ორლანდოს — 2-2.

### რაგბი

ქალთა მსოფლიო თასი. უელსი. 8 აპრილი. ინგლისი — იტალია 25:9, საფრანგეთი — შვედეთი 37:0, უელსი — კანადა 9:9, ჰოლანდია — სსრკ 28:0.

სსრკ-ს ჩემპიონატი. თბილისი. 5 აპრილი. „ვესტა“ 4 (0) (1ლ) — სსა (მინინო) 16 (6) (3ლ, 2გ).

### ფრენბურთი

საერთაშორისო ტურნირი (ქალები) სიმფატ-ჩეე (უნგრეთი). ფინალი. კუბა — სამხრეთ კორეა 3:1 (15:11, 15:10, 11:15, 15:11). მატჩი მესამე ადგილისათვის. „ორბიტა“ (სსრკ) — უნგრეთი 3:0 (15:4, 15:10, 15:8).

აშშ-ში ჩინელმა ფრენბურთელებმა 5 მატჩი გამართეს მასპინძლებთან. შეხვედრათა საერთო ანგარიშია 3:2 სტუმართა სასარგებლოდ.

### ჰოკეი

კანადაში, ნხლ-ის პირველობა დამთავრდა და დაიწყო მორიგი მატჩები სტენლის თასზე. მერვედფინალის მორიგი მატჩები ასე დამთავრდა: „ჩიკაგო ბლეკ ჰოქეი“ — „მინესოტა ნორდ სტარზე“ 5:2; „ვანკუვერ კანაქსი“ — „ლოს-ანჯელეს კინგზე“ 2:1; „ედმონტონ ოილერსი“ — „კალგარი ფლეიმზე“ 4:3. ამ სერიაში დაწინაურდნენ დეტროიტის, ჩიკაგოს, ვანკუვერისა და ედმონტონის ჰოკეისტები.

პრაზიბრამში ჩეხეთ-სლოვაკეთის ჰოკეისტებმა ამხანაგური მატჩში დაამარცხეს შვედი ჰოკეისტები 7:4 (2:1, 4:2, 1:1).

### კალათბურთი

ბარსელონა. ოთხთა ტურნირი ევროპის ჩემპიონთა თასზე (ქალები). „ელექტროსილა“ (ლენინგრადი) — „ავიკე“ (შვეცია) 69:83 (30:34). აღსანიშნავია, რომ შვედების გუნდში საუკეთესოები იყვნენ ლიტველი კალათბურთელები გირაიტე (23 ქულა) და ტუომაიტე. „უნიკარი“ (ჩეზენა, იტალია) — „სპორტინგი“ (ათენი) 73:66 (39:42). 11 აპრილს ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ავიკე“ და „უნიკარი“.

### ფეხბურთი

საერთაშორისო ამხანაგური მატჩები. დანია — ბულგარეთი 1:1; მექსიკა — ჩილე 1:0; ტუნისი — ალჟირი 0:0.

## ნახევარფინალი

### პირველი ტური

ჩემპიონთა თასი

„პაიერნი“ — „ცრვენა ზვეზდა“ 1:2
„სპარტაკი“ — „მარსელი“ 1:3

თასების თასი

„ლეგია“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 1:3
„ბარსელონა“ — „იუვენტუსი“ 3:1

უეფას თასი

„ბრონდბიუ“ — „რომა“ 0:0
„სპორტინგი“ — „ინტერი“ 0:0

# მოურიდებელი სტუმრები

### „ბაიერნი“ — „ცრვენა ზვეზდა“ 1:2

ალბათ, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ მიუნხენის „ბაიერნი“ შინ დამარცხდებოდა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“. იმ წარმატების მიუხედავად, რომლებსაც ბოლო ხანებში პირადად „ცრვენა ზვეზდამ“ ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა იუგოსლავიის ნაკრებმა მიაღწია, ბელგრადელებს ევროპის ჩემპიონთა თასის მოპოვების სერიოზულ პრეტენდენტებად არავინ თვლიდა. მაგრამ „ცრვენა ზვეზდამ“ შეუძლებელი შეძლო და მიუნხენში გაიმარჯვა, თანაც ზუსტად იმავე ანგარიშით, როგორითაც სამი კვირის წინ დრეზდენში — 2:1.

მატჩი გერმანელი ფეხბურთელების უპირატესობით დაიწყო. სტუმრებმა ინიციატივა „ბაიერნს“ დაუთმეს და თვითონ მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდნენ. ანგარიში „ბაიერნმა“ გახსნა-გოლი 24-ე წუთზე ვოლფგარგმა გაიტანა. გაშვებულმა ბურთმა იუგოსლავიელები გამოაფხიზლა. მოედანზე გამოჩნდა ნამდვილი „ცრვენა ზვეზდა“-გუნდი, რომლის ყველა რგოლში ერთნაირად ძლიერი ფეხბურთელები თამაშობენ. პირველი ტაიმის მიწურულს გუნდის საუკეთესო ბომბარდირის პანჩევის ელვისებური გარღვევა სამასუხო გოლით დამთავრდა.

მეორე ტაიმიც მსგავსი სცენარით წარიმართა- „ცრვენა ზვეზდა“ ადვილად იყრიდა „ბაიერნის“ შეტევებს და სახიფათო კონტრშეტევით პასუხობდა.

68-ე წუთზე იუგოსლავიელმა მოლოშევიჩმა ხელით ითამაშა საკუთარ საჯარიმო მოედანზე, მაგრამ მსაჯმა გერმანელი ფეხბურთელების პროტესტის მიუხედავად, პენალტი არ დანიშნა. ამ ეპიზოდს „ცრვენა ზვეზდას“ მორიგი შეტევა მოჰყვა—სავიჩევიჩი გაექცა „ბაიერნის“ მცველებს და მეორე გოლი გაიტანა. იუგოსლავიელები მინიმალურ ანგარიშს დასჯერდნენ, თუმცა კიდევ რამდენიმე ბურთის გატანა შეეძლოთ.

### „სპარტაკი“ — „მარსელი“ 1:3

მოსკოვში, მატჩში, რომელსაც 100 ათასი მაყურებელი დაესწრო, მასპინძლებმა ვერაფერი დაუპირისპირეს საფრანგეთის ჩემპიონს და ტურნირის ფავორიტს „მარსელს“. „სპარტაკი“ დაღლილი ჩანდა, რაც ალბათ ახლახანს იპონიაში ჩატარებულ ტურნირს უნდა დავბრალოთ.

„მარსელს“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა — დისკვალიფიცირებული იყო ბრაზილიელი მკცველი მოზერი, ხოლო თავდასხმელი კანტონა მწვრთნელმა გუტალსმა საბჭოთა კავშირში არ წაიყვანა — როგორც თვითონ გუტალსმა თქვა, კანტონა ჯერ კიდევ არა არის ისეთ ფორმაში, როგორიც ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალს შეეფერება.

მატჩის, და შესაძლოა, ფინალის საგზურის ბედი უკვე პირველ ტაიმში გადაწყდა ანგარიში 27-ე წუთზე ბედი პელეგ[illegible]ნა, ხოლო სამი წუთის შემდეგ ჟან-პიერ პაპენმა მეორე გოლი გა[illegible]ა. ორივე ეს ინგლისელი ჭრის უოდლის შესანიშნავი გადაცემების შემდეგ გავიდა. უნდა ითქვას, რომ უოდლმა, რომელიც ბევრს და საკმაოდ ნაყოფიერადაც მოძრაობდა, თავისი გუნდის წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

ორი გოლის გატანის შემდეგ ფრანგებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს, მაგრამ 58-ე წუთზე საბჭოთა ფეხბურთელების შეტევა შალიმოვის გოლით დამთავრდა. მოსკოველები გააქტიურდნენ და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს „მარსელის“ კართან.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მეორე ტაიმში გამოსულმა ფელიპ ვერკრუისმა ახლო მანძილიდან მესამე გოლი გაიტანა.

თამაშის შემდეგ „მარსელის“ მწვრთნელმა გუტალსმა თქვა, რომ მატჩის ბედი პირველმა გოლმა გადაწყვიტა. „პელეს გოლის შემდეგ გუნდმა ირწმუნა, რომ გამარჯვება ახლოს იყო“, აღნიშნა გუტალსმა.

## დაბრუნება... ფინალში

თასების თასის გათამაშების ცენტრალური მატჩი ბარსელონაში გაიმართა. ესპანეთის ლიგის ლიდერმა დაამტკიცა, რომ ევროპის საკლუბო ტურნირებში წარმატებით თამაშის ძალაც შესწევს. ხანგრძლივი ავდმყოფობის შემდეგ გუნდს ისევ იოჰან კრუიფი ხელმძღვანელობდა.

შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და მე—6 წუთზე კუმანის დარტყმა ძელს მოხვდა. მე-13 წუთზე „ბარსელონის“ მცველმა ფერერმა ბურთი მეკარე სუბისარეტას გადააწოდა. გადაცემა იტალიელმა კაზირაგიმ ჩაჭრა და ანგარიშიც გაიხსნა.

გაშვებულმა გოლმა კატალონიელი ფეხბურთელები დააბნია. პირველ ტაიმში მათ მეტოქის კართან სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ, იტალიელებს კი შეეძლოთ გოლის გატანა—45-ე წუთზე ბაჯოს დარტყმის შემდეგ, „ბარსელონა“ მხოლოდ სუბისარეტას ბრწყინვალე თამაშმა იხსნა.

მეორე ტაიმში კრუიფმა თავდამსხმელი ბეგირისტაინის მაგივრად მოედანზე ნახევარმცველი ეუსებიო გამოიყვანა. ამ შეცვლამ გუნდზე სასიკეთოდ იმოქმედა — „ბარსელონამ“ ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი წინაც გავიდა. 55-ე წუთზე ლაუდრუპის გადაცემით გოლი სტოიჩკოვმა გაიტანა, ოთხი წუთის შემდეგ კი ისევ სტოიჩკოვმა აიღო „იუვენტუსის“ კარი.

„ბარსელონა“ გამუდმებით უტევდა და 75-ე წუთზე ხოსე ანტონიო გოიკოეჩეამ კიდევ ერთი გოლი გაიტანა—3:1. საკუთარ მოედანზე გაშვებული ბურთის მიუხედავად, „ბარსელონა“ ამ წყვილში ფავორიტად ითვლება.

რაც შეეხება მეორე წყვილს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ სტუმრად გამარჯვების შემდეგ ნათელია, რომ „იუნაიტედი“ პირველად თავის ისტორიაში თასების თასის ფინალში იასპარეზებს. ვარშავის „ლეგია“, რომელმაც ეჯიბრებიდან „სამპდორია“ გამოთიშა, კერკეტ კაკლად ითვლებოდა, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია „მანჩესტერ იუნაიტედს“.

პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, თუმცა ინგლისელებს წონასწორობის აღსადგენად სულ რამდენიმე წუთი დასჭირდათ—შარპის გადაცემის შემდეგ გოლი მაკლეარმა გაიტანა.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მსაჯმა უხეში თამაშისათვის მოედნიდან გააძევა „ლეგიის“ მცველი იუსვიაკი. ამის შემდეგ „მანჩესტერის“ უპირატესობა აშკარა გახდა და ინგლისელებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს. (მარკ ჰიუზი და სტივ ბრუსი). აღსანიშნავია, რომ ამ სამმა ფეხბურთელმა—მაკლეარმა, ჰიუზმა და ბრუსმა მიმდინარე სეზონში „მანჩესტერის“ მიერ გატანილი გოლების უდიდესი ნაწილი — 60 ბურთი გაიტანა.

ინგლისელებს კიდევ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ „ლეგია“ მეკარემ იხსნა. დისკვალიფიცირებული ბრაიან რობსონის არ ყოფნის მიუხედავად, „მანჩესტერმა“ „ლეგიას“ არავითარი შანსი არ დაუტოვა და განმეორებითი მატჩი ფორმალობად აქცია.

„მარსელის“ ინგლისელი ვარსკვლავი ჭრის უოდლი ერთ-ერთი საუკეთესო იყო „სპარტაკთან“ შეხვედრაში.

## ისევ იტალიაში?

უეფას თასის ორივე ნახევარფინალი ერთნაირი ანგარიშით დამთავრდა. ორივე მატჩში იტალიის გუნდებმა სტუმრად ფრეს მიაღწიეს, მაგრამ თუ „ბრონდბიუსა“ და „რომას“ შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, „სპორტინგის“ უპირატესობა „ინტერთან“ შეხვედრაში მთელი მატჩის განმავლობაში აშკარა იყო. პორტუგალიელები გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ უშედეგოდ — შესანიშნავად ითამაშეს „ინტერის“ დაცვამ და მეკარე ძენგამ. იტალიელთა მწვრთნელმა ტრაპატონიმ დაცვით ტაქტიკას მიმართა და „სპორტინგის“ თავდამსხმელებს პერსონალური მეურვეები მიუჩინა. მაგალითად, ბერგომის თვალი არ მოუცილებია პორტუგალიელი კადეტესთვის. მიუხედავად ამისა, კადეტემ ისევე როგორც ფერნანდუ გომეშმა და ბულგარელმა კაზიმირ ბალაკოვმა, მოახერხეს რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა, მაგრამ ამ დღეს მათ ბედი არ სწყალობდათ — გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობები ვერ გამოიყენეს.

„ინტერმა“ ორიოდე კონტრშეტევა განახორციელა და ერთ-ერთი მათგანი კინაღამ გოლით დამთავრდა, მაგრამ მათიუსისა და „სპორტინგის“ მეკარის ივკოვიჩის ორთაბრძოლა მასპინძელთა სასარგებლოდ დამთავრდა. ამ რამდენიმე მომენტს თუ არ ჩავთვლით, „ინტერის“ ფეხბურთელები თითქმის არ გ[illegible]ლ[illegible]ინან ცენტრალურ ზონას, ხ[illegible]ლ[illegible] როცა „სპორტინგი“ [illegible]ურს [illegible]ლ[illegible]ოდა, კლინსმანიც კი უკან ჩამოდიოდა და თერთმეტივე იტალიელი ფეხბურთელი საკუთარ საჯარიმო მოედანზე [illegible]ოდა თავს.

დაძაბულ ბრძოლაში წარმ[illegible] [illegible]ერე ნახევარფინალური მატჩი, სადაც [illegible]ბ-ბიუმ“ თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზა „რომას“. შეხვედრა ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობდა და იტალიელთათვის სასურველი ანგარ[illegible]ით დამთავრდა.

**სასპორტო მატჩები 24 აპრილს ჩატარდება**

## თასი ამერიკელებს და... ხაბელოვს

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის ამერიკაში გამართულ მსოფლიო თასის მორიგ გათამაშებაში თბილისელმა ლერი ხაბელოვმა პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო ხაჩერელმა ზაზა თურმანიძემ — მეორე. გუნდურ ტურნირში ამერიკელებმა ნლეულსაც იმარჯვეს და გადამწყვეტ შერკინებაში ხძლიეს ხაბ[illegible] ნაკრებს — 6:4. ეს მოხდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის აქტის მიღებამდე და ხაბელოვმა და თურმანიძემ უკანასკნელი ჯილდოები მიიღეს საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში. ლერიმ პირად შეხვედრებში ყველა მეტოქეს აჯობა, ხოლო ზაზა თურმანიძე ბრიუს ბაუმგარტნერთან დამარცხდა.

## ...ტალია

...მარადონასთან დაკავშირებული სკა...ლის გარდა, იტალიის საფეხბურთო ...ერებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ...ელენა მოხდა — ფედერაციამ უარყო ...ადენმე კლუბის მოთხოვნა, რომლებსაც ...ითოეულ კლუბში ოთხი უცხოელი ...ფეხბურთელის დაშვება უნდოდათ. ფედერაციის გადწყვეტილებით, ჯერჯერობით ...ოველ გუნდს -ისევ სამი უცხოელის ...ამოყვანის უფლება ექნება.

...ჩემპიონატის 28-ე ტური წარმატებული აღმოჩნდა „სამპდორიასთვის", რომელიც შინ ხვდებოდა „კალიარის". თუმცა „სამპდორიამ" მაჩტი კარგად დაიწყო და პირველ ტაიმში ორი გოლიც გაიტანა — ვიალიმ თავური დარტყმით 27-ე წუთზე და მანნინამ 44-ე წუთზე, მაგრამ სტუმრებმა მეორე ტაიმში მოახერხეს წონასწორობის აღდგენა. ორი გოლი გაიტანა ურუგვაიელმა დანიელ ფონსეკამ, აქედან მეორე, მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე — 2:2.

„ინტერი" ლიდერს კიდევ ერთი ქულით მოუახლოვდა. მილანელებმა შინ დამარცხეს „ბარი" — 5:1. დიდი ანგარიშით გიმარჯვა „მილანმაც", რომელმაც ლეჩეში ადვილობრივ გუნდს მოუგო — 3:0. პირველი გოლი მილანელებმა 39-ე წუთზე გაიტანეს (სიმონი), თუმცა როგორც შემდეგ

| | | |
|---|---|---|
| „სამპდორია" | 28 | 16 |
| „ინტერი" | 28 | 15 |
| „მილანი" | 28 | 15 |

## ...ინგლისი

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის უმაღლესმა ორგანომ — საბჭომ მოიწონა ქვეყნის სუპერლიგის შექმნის იდეა. ...ასოციაციის აზრით, 18-გუნდიანი სუპერლიგა ხელს შეუწყობს ერთვნული ნაკრების უკეთესად მომზადებას, აამაღლებს ფეხბურთის დონეს და გაზრდის მაყურებელთა დასწრებას. ჯერ კიდევ დაუმტკიცებელი პროექტის მიხედვით, სუპერლიგა გაისად შეექმნება და ოთხი წლის განმავლობაში გუნდების რიცხვი 22-დან 18-მდე შემცირდება. ამ გეგმას მხარს უჭერენ ინგლისის უძლიერესი კლუბები, რომლებიც იმედოვნებენ, რომ გუნდების რაოდენობის შემცირება გაზრდის ინტერესს ჩემპიონატის მიმართ. „არსენალმა" და „მანჩესტერ იუნაიტედმა" უკვე გამოთქვეს თავიანთი აზრი — ისინი 18-გუნდიანი სუპერლიგის მომხრენი არიან.

რაც შეეხება მიმდინარე ჩემპიონატს, „არსენალის" გამარჯვება ექვს აღარ იწვევს. „არსენალმა" ხელიხელ ორი მაჩტი მოიგო — ჯერ „ასტონ ვილა" დამარცხა — 5:0 (გოლები გაიტანეს სმითმა — 2, დეივისმა და კემბელმა — 2), ხოლო შემდეგ სტუმრად მოუგო „შეფილდ იუნაიტედს" 2:0 (კემბელი და სმითი).

„ლივერპულს", ისევე როგორც მესამე ადგილზე მყოფ „კრისტალ პალასს", ამ ტურში არ უთამაშია. „ლიდს იუნაიტედმა" სტუმრად მოუგო „უიმბლდონს" 1:0. გოლი

| | | |
|---|---|---|
| „არსენალი" | 32 | 21 |
| „ლივერპული" | 31 | 19 |
| „კრისტალ პალასი" | 32 | 17 |

## ...საფრანგეთი

თასის მეთექვსმეტედფინალურმა შეხვედრებმა რამდენიმე მოულოდნელი შედეგი მოიტანა. თასის მფლობელი „მონპელიე" შინ დამარცხდა მეორე ლიგის „ნიორთან" — 0:1. მატჩის შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა ლუი ნიკოლამ განცხადა, რომ უკმაყოფილია ფეხბურთელების თამაშით. მან თქვა, რომ „მონპელიეს" მოთამაშეები ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს მოედანზე სმოკინგებში გამოწყობილები გამოვიდნენ. პროფესიონალებს, რომლებიც უხარამაზარ თანხებს იღებენ, არ ეპატიებათ მეტოქისადმი ასეთი უდარდელი დამოკიდებულება. ნიკოლამ თქვა, რომ თუ „მონპელიე" უეფა-ს თასის ადგილს ვერ მოიპოვებს, იგი მთელ გუნდს უგაგდებს და ახალ ფეხბურთელებს მოიწვევს. „თუ ფეხბურთელები არაფერს აკეთებენ, მათთვის ხელფასის გადახდასაც აზრი არ აქვს", თქვა კლუბის პრეზიდენტმა.

თასის გათამაშებას პირველი ლიგის კიდევ ხუთი გუნდი გამოეთიშა — „ნანსი", „მეცი", „ლილი", „სენტ-ეტიენი" და „ტულუზა". დარჩენილი 16 გუნდიდან 9 პირველი ლიგის წარმომადგენელია, ხოლო 7 — მეორე ლიგის. „მონპელიე" წარუმატებლად ახარეზობს ჩემპიონატშიც. 32-ე ტურში „მონპელიე" შინ

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „მარსელი" | 31 | 19 | 7 | 5 | 54-21 | 45 |
| „მონაკო" | 32 | 16 | 10 | 6 | 39-24 | 42 |
| „ოსერი" | 32 | 16 | 9 | 7 | 55-30 | 41 |

აღმოჩნდა, ბურთის გატანამდე სიმონემ ხელით ითამაშა. მსაჯმა დარღვევა ვერ შენიშნა და გოლი ჩათვალა. მეორე ტაიმში დონადონიმ და გულიტმა კიდევ ორი ბურთი შეაგდეს — 3:0.

„ფიორენტინამ" ფუზერის გოლის წყალობით მოუგო „იუვენტუსს" — 1:0. ფრედ (1:1) დამთავრდა მაჩტი „ტორინოსა" და „ნაპოლის" შორის. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს (პოლიკანო), მაგრამ ნეაპოლელმა კარეკამ მალე აღდგინა წონასწორობა. ზედიზედ მეზუთე გამარჯვება მოიპოვა ბერგამოს „ატალანტამ", რომელიც ახლა მერვე ადგილზე იმყოფება. „ატალანტამ" მოუგო „ბოლონიას" — 4:0. გოლები გაიტანეს პაშულომ, პერონემ (2) და ვეაირმა.

ფრედ (1:1) დამთავრდა შეხვედრა რომის გუნდებს — „რომასა" და „ლაციოს" შორის. ორივე გოლი უცხოელმა ფეხბურთელებმა გაიტანეს — გერმანელმა ფიოლერმა („რომა") და ურუგვაელმა რუბენ სოსამ („ლაციო"). ასეთივე ანგარიშით (1:1) დასრულდა „ჩეზენას" და „პიზას" მატჩი, ხოლო „პარმამ" მოუგო „ჯენოას" — 2:1.

იტალიის თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „რომა" და „სამპდორია". „რომამ" შინ მოუგო „მილანს" —1:0 (პირველი მატჩი — 0:0), ხოლო „სამპდორიამ" — „ნაპოლის" 2:0 (პირველი მატჩი 0:1).

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | 8 | 44-18 | 41 |
| 9 | 4 | 50-26 | 39 |
| 8 | 5 | 34-16 | 38 |

მე-13 წუთზე ლი ჩეპენმა გაიტანა „ტოტენჰემ ჰოთსპურმა" დამარცხა „ნიუკასლ იუნაიტედი" 2:0. ორივე გოლი გარი ლინეკერის ანგარიშზეა, რომელიც ტრავმით გამოწვეული შესვენების შემდეგ კვლავ გამოჩნდა მინდორზე. „ჩელსი" შინ აგებდა „ლუტონ თაუნთან" — 0:3, მაგრამ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, თუმცა მოელი მეორე ტაიმის განმავლობაში 10 კაცის შემადგენლობით მოუწია თამაში.

სხვა მატჩები: „ასტონ ვილა" — „მანჩესტერ იუნაიტედი" 1:1, „მანჩესტერ სიტი" — „ნოტინგემ ფორესტი" 3:1, „ნორიჩ სიტი" — „კოვენტრი სიტი" 2:2, „სანდერლენდი" — „ქუინზ პარკ რეინჯერსი" 0:1.

წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, არგენტინელი ოსვალდო არდილესი, რომელიც აქამდე მეორე ლიგის „სვინდონ თაუნს" ედგა სათავეში, „ნიუკასლ იუნაიტედის" მწვრთნელი გახდა. მარშან არდილესმა „სვიდონი" პირველ ლიგაში გადაიყვანა, მაგრამ ინგლისის საფეხბურთო ხელმძღვანელობის გადწყვეტილებით „სვინდონი" დასჯეს უკანონო ფინანსური ოპერა-ციებისთვის და ისევ მეორე ლიგაში დატოვეს. არდილესის წასვლის შემდეგ „სვინდონის" მწვრთნელად გლენ ჰოდ-ლი დანიშნეს. ჰოდლმა, რომელიც „ტოტენჰემში" არდილესთან ერთად თამაშობდა, თქვა, რომ თუ გუნდის ინტერესები მოითხოვს, იგი მოთამაშე მწვრთნელი გახდება და მოედანზეც გამოვა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10 | 1 | 60-13 | 71 |
| 6 | 6 | 60-29 | 63 |
| 7 | 8 | 43-38 | 58 |

დამარცხდა „ლილთან" 1:2. გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა ლორან ბლანმა თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა.

„მარსელს" ამ ტურში არ უთამაშია — ფეხბურთის ფედერაციამ გადაიტანა ლიდერის მატჩი „ბრესტთან", რათა „მარსელს" მოსკოვის „სპარტაკთან" მატჩისათვის უკეთ მომზადების საშუალება მისცემოდა. მანამდე, „მარსელმა" თხოვა „ბრესტს" მატჩი შაბათიდან პარასკევს გადაეტანა, მაგრამ „ბრესტმა" უარი თქვა. ამის შემდეგ, „მარსელმა" გადწყვიტა ბრესტში თავისი სათადარიგო შემადგენლობა გაეგზავნა, მაგრამ საქმეში ფედერაცია ჩაერია და შეხვედრა მაისისთვის გადიტანა.

„ოსერმა" შინ დამარცხა „კაენი" 3:0. გოლები გაიტანეს კოვაჩმა და შიფომ (2). მოიგო „მონაკომაც", სტუმრად „პარი სენ-ჟერმენთან" — 2:0 (ვეა და ფოფანა).

მნიშვნელოვნი გამარჯვება მოიპოვა „ბორდომ", რომელმაც სტუმრად დამარცხა „ნანი" 2:0. ორივე გოლი ბელგიელმა ჟერვიორტმა გაიტანა. ამ ჩემპიონატში „ბორდომ" პირველად გაიმარჯვა სტუმრად.

სხვა მატჩები: „ხოშო" — „კაენი" 0:0, „ნიცა" — "ლიონი" 1:1, „ტულონი" — „მეცი" 2:1, „რენი" — „ნანტი" 2:0, „სენტ-ეტიენი" — „ტულუზა" 1:4.

(დასასრული)

# კოკაინის სკანდალი

მაგრამ ცეცხლზე ნავთი დაასხა იმავე „ლა რესპუბლიკას" კიდევ ერთმა ცნობამ იმის თაობაზე, რომ 17 მარტს, „ბარისთან" მატჩის შემდეგ დოპინგ-კონტროლით მარადონას სისხლში კოკაინი აღმოუჩინეს.

— მე ამას ვერ დავიჯერებ, — განაცხადა დიეგოს უახლოესმა მეგობარმა, ბრაზილიელმა კარეკამ, — მარადონას ამისთვის არავითარი საფუძველი არ ჰქონდა. ის დიდი ფეხბურთელია და ასეთი სიმდაბლის ჩამდენი არ არის. ჩვენ გვჯერა დიეგოსი და გვიყვარს იგი.

ანალიზის შედეგების გამო აღშფოთება გამოთქვა მარადონას ადვოკატმა ენცო სინისკალკიმაც. მან ახსნა-განმარტებისათვის მიმართა ცნობილ ბრაზილიელ ექიმს ედუარდო ენრიკო დე როზეს, ოლიმპიური კომიტეტის სადოპინგო კომისიის წევრს, რომელსაც მილანში მსოფლიო ჩემპიონატის დროს დოპინგ-კონტროლის გამო პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.

— კოკაინი სპორტსმენს მხოლოდ დროებით მატებს ენერგიას, მაგრამ ამ მიზნით მისი სისტემატურად გამოყენება უაზრობაა, — ამბობს დე როზე. — არის უფრო ეფექტური საშუალებები, რომელთა „პოვნაც" ბევრად რთულია. კოკაინი კი 72 საათს რჩება ორგანიზმში და საკუთარი თავის მტერი უნდა იყო, რომ ამგვარი რისკი გასწიო.

სამწუხაროდ, დადებითი შედეგი მოჰყვა 29 მარტს განმეორებით ჩატარებულმა ტესტმაც. თავდაპირველად მარადონა ამბობდა, საბოლოო განაჩენის გამოტანამდე არ დავტოვებ იტალიასო, მაგრამ, როგორც ჩანს, ნერვებმა უმტყუნა და 2 მარტს რომის აეროდრომ „ფიუმიჩინოდან" ბუენოს-აირესში გაფრინდა. ამჯერად აღარც ყვავილები ყოფილა, აღარც ზერ-ზეიმით გაცილება. „ფეხბურთის პრინცის" გამგზავრება ბრძოლის ველიდან გაქცევას ჰგავდა. მაგრამ დიეგომ ზოგიერთი ფორმალობა მაინც არ დაავიწყა: მან შინ დატოვა ორი წერილი. პირველ წერილში იგი მადლობას უხდიდა ყველა თავის გულშემატკივარს სიყვარულისა და აღიარებისათვის. მეორეში პირობას დებდა, [illegible] გამოიძახებენ, აუცილებლად ჩავა იტალიაში სასამართლო პროცესზე.

ამასობაში გავრცელდა ხმები, რომ შუამავლები მოლაპარაკებას ეწევიან ნეაპოლში მარადონას ვილის გაყიდვის თაობაზე. ამბობენ, რომ მისი სახლის კვადრატული მეტრი 100 ათას დოლარად არის შეფასებული, მის ბაღში კი ერთი მცენარე 3 ათასი დოლარი ღირს. ცნობილი გახდა ისიც, რომ „ნაპოლის" ხელმძღვანელობა არგენტინელის შემცვლელს ეძებს. პრესაში ასახელებენ სავარაუდო კანდიდატებს — უნგრელ დეტარის, რუმინელ ლეკეტუშს, ჩეხ კუბიკს და დანიელ ბრაიან ლაუდრუპს.

***

ამ დღეებში არგენტინა კიდევ ერთმა ცნობამ შეძრა. დაიწყო გამოძიება, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, „მარადონას საქმეზე" ბევრად სერიოზული იქნება. გამოძიება მიმდინარეობს ერთდროულად სამ ქვეყანაში — ესპანეთში, არგენტინასა და კოლუმბიაში. საქმე ის გახლავთ, რომ ესპანელმა მებაჟეებმა აღმოაჩინეს კონტრაბანდისტთა ჯგუფი, რომელიც კოლუმბიურ კოკაინს ესპანეთში ასაღებდა და იქ აღებულ ბუსტებს არგენტინაში გზავნიდა. და აი, ამ ჯგუფის წევრთაგან ორი არგენტინის პრეზიდენტ კარლოს მენემის — დიეგო მარადონას ყველაზე გავლენიანი მფარველის უახლოესი ნათესავია...

მოამზადა

შალვა შალოლაშვილმა.

# უკაცრავად, ლამაზებო!

სპორტის სპეციალისტთა მრავალი თაობა კამათობს იმაზე, შეიძლება თუ არა შეჯიბრებისთვის მზადებისა და სექსის „შეთავსება". ამ საკითხზე სრულიად განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ყველა ცდილობს თავისი მოსაზრებების მართებულობა დაამტკიცოს. შეიძლება ითქვას, ამ კამათში ერთსულოვნებას მხოლოდ კრივის სპეციალისტები იჩენენ, რომლებიც ერთგულად იცავენ „კონსერვატულ" პოზიციას: სექსი უარყოფითად მოქმედებს მოკრივეებზე ორთაბრძოლისათვის ინტენსიური მზადების პერიოდში! მწვრთნელები ამტკიცებენ, რომ „ინტიმური თავგადასავლები" აუარესებს რეაქციას, რასაც შეიძლება საწვრთნელ ვარჯიშებზეც ჯი, მძიმე ტრამვები მოჰყვეს, ოფიციალურ შეჯიბრებებზე რომ არაფერი ვთქვათ.

თავიანთი მოსაზრების დასასაბუთებლად მათ მოჰყავთ „ცინცხალი" მაგალითი — მსოფლიოს ექსჩემპიონი მაიკლ ტაისონი. ეს ცნობილი მუსუსი აშკარად მეტისმეტი გატაცებით ეკიდებოდა „სამჯნურო ისტორიებს" და შედეგმაც არ დააყოვნა: სახელგანთქმულმა სპორტსმენმა ჩემპიონის ტიტული დაკარგა. ჯეიმს დუგლასთან შეხვედრისას ტაისონს ვეღარ იცნობდით: მოშვებული, მოდუნებული, რინგზე ძლივს მოძრაობდა... მარცხმა ტაისონი აიძულა სრულიად შეეცვალა ცხოვრების წესი. კანადელ დონოვან რადოკთან შეხვედრისათვის მზადების პერიოდში მან თავისი „რეჟიმიდან" მთლიანად გამორიცხა ქალები, ღამის კლუბები და დისკოთეკები. „ბერმონაზონურმა" ცხოვრებამ მოკრივეს სასურველი შედეგი მოუტანა.

არსებობს სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებებიც. კოლორადოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა სპეციალური გამოკვლევა ჩაატარეს ამ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, მათ შეისწავლეს ათი სპორტსმენის შესაძლებლობები საწვრთნელ ბანაკში და ცოლებთან ან საყვარლებთან გატარებული უქმე დღეების შემდეგ. მათი ფიზიკური მდგომარეობის შემოწმებამ შვიდი პარამეტრის მიხედვით (რეაქცია, ამტანობა, კუნთური ძალა...) დადებითი შედეგი გამოიღო: სექსი არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას სპორტსმენებზე. „ლაპარაკი სპორტზე სექსის ნეგატიური გავლენის შესახებ მითია და მეტი არაფერი", — ამტკიცებს უნივერსიტეტის პროფესორი ლორან კორდენი.

ასეთ დასკვნამდე მივიდა ბეისბოლისტთა გუნდის „ნიუ-იორკ-იანკის" მწვრთნელი კეიზ სტენჯელიც: „სპარტანული ცხოვრება ჯერ კიდევ არ არის სპორტსმენის მაღალი კლასის გარანტია. შეიძლება არ სვამდე, არ ეწეოდე, ქალებს ზედაც არ უყურებდე, მაგრამ თამაში არ შეგეძლოს. სპორტსმენებზე შეკრებაზე ყოფნის პერიოდში თავიანთ ცოლებსა და საყვარლებზე ფიქრით გამოწვეული უძილობა უფრო ცუდად მოქმედებს, ვიდრე თვით მათთან გატარებული ღამეები. სპორტსმენი, რომელსაც ძალით წაართვეს სექსი, ადვილად ღიზიანდება, მუდამ უგუნებოდაა, დათრგუნვილია, ყველაფრის მიმართ გულგრილი..."

ამავე აზრისაა ცნობილი სპორტული ექიმი რუტ ვესტმაიერი: „თუ სპორტსმენს ცოლი ან მუდმივი საყვარელი ჰყავს, მასთან გატარებული ღამე დასვენების საშუალებასაც აძლევს და ემოციურად ამხნევებს. მაგრამ თუ რომანი ჯერ მხოლოდ იწყება, მაშინ სპორტსმენი, ცხადია, მზად არ იქნება დილის მეცადინეობისთვის. სხვა საქმეა, თუ ათლეტს სჯერა, რომ ასკეტური ცხოვრება მას გამარჯვებაში დაეხმარება. თვით შთაგონება ხომ ხანდახან სასწაულებს ახდენს. ერთი სიტყვით, სპორტსმენებს სექსის საკითხშიც „ინდივიდუალური მიდგომა" სჭირდებათ.

გიორგაძე კეკელა ნანატი

# ჩემპიონთა გალერეა

ამერიკის ქალაქ ნიუპორტის „ჩოგბურთის დიდების დარბაზი" ახალი „წევრებით" შეივსო. ამ თავისებური მუზეუმის საპატიო წიგნში შეტანილია კიდევ სამი გამოჩენილი ოსტატის სახელი.

ეს პატივი ხვდათ ამერიკის შეერთებული შტატებისა (1972) და საფრანგეთის (1973) ჩემპიონატების გამარჯვებულს რუმინელ ილიე ნასტასეს, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა (1977) და ავსტრალიის (1978-1979) ჩემპიონატებში გამარჯვებულ არგენტინელ გილერმო ვილასსა და ავსტრალიელ ეშლი კუპერს, რომელმაც 1957 წელს მოიგო ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიისა და ინგლისის (უიმბლდონი) ჩემპიო-ნატები, სხვადასხვა დროს გაიმარჯვა „გრენდ სლემის" ოთხივე ტურნირში და 1957 წლის დევისის თასის გათამაშებაში.

1954 წელს დაარსებულ „ჩოგბურთის დიდების დარბაზის" საპატიო წიგნში დღეისათვის 154 ჩოგბურთელია შეყვანილი.

# ფულიც ამას ჰქვია!

ამერიკის ბეისბოლის ლიგის მოთამაშეთაგან დღეს ყველაზე მეტ გასამრჯელოს უხდიან „რედ სოქსის" წევრს როჯერ კლემენსს. კლუბმა მასთან ისევ დადო ოთხწლიანი კონტრაქტი 21,5 მილიონ დოლარზე. ამგვარად, მომავალი სეზონიდან კლემენსის საშუალო წლიური ხელფასი 5 მილიონ დოლარზე მეტი იქნება.

ეს კონტრაქტი სარეკორდოა აშშ-ის სპორტის სათამაშო სახეობებისათვის. ამერიკული ფეხბურთის „რეკორდსმენი" ანაზღაურების მიხედვით ჯო მონტანა („სან-ფრანცისკო") წელიწადში 4 მილიონ დოლარს იღებს. ნბა-ში ლიდერობს პატრიკ ევინგი („ნიუ-იორკი") — 4 მილიონ 250 ათასი. ნჰლ-ის გუნდებში ყველაზე „ძვირად ფასობს" უეინ გრეცკი („ლოს-ანჯელესი") — 3 მილიონ 300 ათასი.

# გზაჯვარედინზე

იუგოსლავიის სპორტში რღვევა დაიწყო. ჯერ იყო და ხორვატიის ფეხბურთის მესვეურებმა გადაწყვიტეს ქვეყნის საფეხბურთო ფედერაციის შემადგენლობიდან გასვლა და ეს საჯაროდაც გამოაცხადეს. ახლა მათს მაგალითს მიბაძეს ხორვატიის კალათბურთის, ხელბურთისა და წყალბურთის კავშირებმაც.

ყოველივე ეს და ზოგიერთი სხვა ფაქტი იმას მოწმობს, რომ სპორტის თვალსაზრისით იუგოსლავია უკვე აღარ არის ერთიანი ქვეყანა. მსოფლიო ჩემპიონატის დროს სლოვენიის მოთხილამურეები უკვე იკრავდნენ სვიტერებზე ემბლემებს თავიანთი რესპუბლიკის სახელწოდებით, რათა დაეფარათ წარწერა „იუგოსლავია". სერბია თავის ოლიმპიურ კომიტეტს აყალიბებს, ხოლო ჩოგბურთში ავსტრალიის ღია ჩემპიონატის დროს ხორვატები მაყურებელთა ტრიბუნებზე იუგოსლავიის დროშებს წვავდნენ.

იუგოსლავიური სპორტის რღვევის პროცესის შეჩერება, როგორც ჩანს, შეუძლებელია, — ამბობს მსოფლიოს ექსჩემპიონი სამთო-სათხილამურო სპორტში, სლოვენი მატია სვეტი — ამას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს, მაგრამ ჩვენ გვაქვს უფლება, ჩვენი ბედი თავადვე გადავწყვიტოთ.

სახელგანთქმულმა სპორტსმენმა თქვა წინასწარ განსჯვრიტა მოვლენათა შემდგომი მსვლელობა. ხორვატიის ფეხბურთის კავშირმა წერილი გაუგზავნა „ფიფა"-ს და სთხოვა განეხილა ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში მისი მიღების საკითხი. პასუხმა არ დააყოვნა. მისი შინაარსი მოულოდნელი არ იყო: „ფიფა ცნობს მხოლოდ ერთ ფედერაციას — იუგოსლავიის ფეხბურთის კავშირს — და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისათვის არ დაუშვებს არც ერთ კლუბს ან რესპუბლიკურ გუნდს, რომელიც მის შემადგენლობაში არ არის..."

ამგვარ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდნენ დანარჩენი სპორტული ორგანიზაციებიც. იუგოსლავიის ყველა რესპუბლიკიდან, რომლებიც დღეს დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვიან.

ასეა თუ ისე, იმის გამო, რომ უსაფრთხოების გარანტია არ არსებობდა, ამ ქვეყანაში დაგეგმილი რამდენიმე დიდი ტურნირი უკვე ჩაიშალა.

## CoBi თბილისში

დაბადების წელი — 1988, სახელი — პიკანტ ფროგ ალტრუა კობი, ჯიში — მიტელ-შნაუცერი... ბარსელონის ოლიმპიური თამაშების თილისმა (Cobi) ჯერ კიდევ არჩეული არ იყო, როცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილემ სერგო ხარაბაძემ თავის ძაღლს კობი შეარქვა.

კობიზ „ოლიმპიური აღიარება" ასე აღნიშნა: ამას წინათ ცხრა ლეკვი დაყარა.

## აქეთური... იქითური...

იმის მიუხედავად, თუ რომელ ადგილს დაიკავებს ჩემპიონატში იგივლის. საფეხბურთო კლუბი „სამპდორია", მომავალ სეზონში მას ახალი მწვრთნელის ეკისდენა გუნდის ახლანდელმა ხელმძღვანელმა, იუგოსლავიელმა ვუიადინ ბოშკოვმა განაცხადა, რომ არ აპირებს კლუბთან კონტრაქტის განახლებას (კონტრაქტის ვადა მიმდინარე წლის ივნისში იწურება).

■ ■ ■

იუგოსლავიელი მძღეოსანი, სიგრძეზე მხტომელი ბორეტ ბილეკი კვლავ დაუბრუნდა სპორტს. საშუალაოლო მძღეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ აღიარა რომ ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის დამთავრებისას სპორტსმენისათვის აღებული დოპინგ-კონტროლის ანალიზი მცდარი იყო. როგორც ცნობილია, სპლიტში გამართული ამ ხანგრძლივობის შემდეგ ბილეკს ორი წლით დისკვალიფიკაცია მისცეს. ახლა გადაწყვეტილება შეიცვალა და სპორტსმენს დაუბრუნეს კონტინენტის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი.

■ ■ ■

სახელგანთქმული ამერიკელი რეჟისორი ჰოუ ჰალ ნი, ავტორი გერმანიის 1936 წლის ოლიმპიადისადმი მიძღვნილი ცნობილი ფილმისა „ცეცხლოვანი ეტლები", გადაიღებს ოფიციალურ ფილმს ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. ახალი ფილმის გადაღება 8 მილიონი დოლარი დაჯდება. მას ესპანეთის კინოფირმები დააფინანსებენ.

■ ■ ■

ამას წინათ შვეიცარიელმა მარკ ჰოლდერმა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად მუშაობის 40 წლისთავი აღნიშნა. 1951 წელს, როცა ეს პოსტი დაიკავა, იგი 33 წლის იყო. ჰოლდერს განზრახული აქვს 1994 წლის ზამთრის ოლიმპიადის დღეებში გადადგეს თანამდებობიდან.

■ ■ ■

ჩრდილოეთი და სამხრეთ კორეა მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც აპრილში იაპონიაში ტარდება, ერთ 22-კაციან გუნდს ჩამოიყვანენ. ეს იქნება მეორე საერთოკორეული გუნდი ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრების შემდეგ, რომელიც თანატოლთა მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადება.

■ ■ ■

ნიუ-იორკის მერმა დევიდ დინკინსმა გამოაცხადა ფლეშინგ-მედოუზში (ქუინზის რაიონი) ჩოგბურთის ეროვნული ცენტრის რეკონსტრუქციის პროგრამა. 1994 წელს აქ აიგება კიდევ სამი ახალი კორტი 24, 12 და 6 ათასი მაყურებლისთვის გათვალისწინებული ტრიბუნებით. მოეწყობა 16 დამატებითი კორტიც. ტურნირებისგან თავისუფალ დღეებში მსოფლიოს ეს ერთ-ერთი უდიდესი ჩოგბურთი ცენტრი, სადაც ჩვეულებრივ აშშ-ის ღია პირველობები ტარდება, ნიუ-იორკის ყველა მცხოვრებს მოეშსურება. როგორც ვარაუდობენ, საფასური ძალზე მცირე იქნება.

■ ■ ■

21 აპრილს ლონდონში მოეწყობა მსოფლიო თასის გათამაშება მარათონში, პირად ჩათვლაში გამარჯვებულებისთვის დაწესებულია პრიზები 52 ათასი დოლარის ოდენობით. ამ პოპულარულ შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი 69 ქვეყნის წარმომადგენლებმა გამოთქვეს. ლონდონის მარათონის ისტორიის მანძილზე „ვარსკვლავებთან" ერთად სარბიელზე გამოსვლის უფლება წლეულს პირველად ეძლევათ რბენის „რიგით" მოყვარულებს.

აქეთური... იქითური...

„სარბიელის" სპონსორია კოოპერატივი „ტრანსკავშირი"

გამოდის პარასკევობით

სარბიელი

ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი: თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.30. გაზეთ „სარბიელის" რედაქცია. ტელეფონი: 38-32-93.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ჟურნალ „ცენტრში". ტელეფონი 35-26-44

გაზეთი ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.

სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ბიორგი ძორძია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, ბიორგი ჩოჩიშვილი.

კომერციული დირექტორი შოთა ჯულუხაძე.